ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

## ჭიათურაში „ქართული ოცნების“ კანდიდატმა გამარჯვება შედეგების გამოცხადებამდე აღნიშნა

გვ.4



ორშაბათი, 31 ოქტომბერი, 2016 №258 (7184) ფასი: 50 თეთრი

# კახა კალაძე: „დიდი უპირატესობით გავიმარჯვეთ“

სალომე სამადაშვილი: „საიდან იცოდა კალაძემ უბნების დახურვიდან 10 წუთში არჩევნების შედეგები?!“



გვ.2



## გიგა ბოკერია: „თუ არჩევნების შედეგები არ გაუქმდება, პროტესტის ყველა ზომას მივმართავთ“

რა სკანდალური მასალა ჩაუვარდათ ხელში ნაციონალებს

გვ.2





ირაკლი კობახიძე: „ეს ვიდეო კომიკურია“

## „დავით უსუფაშვილს დიდი გეგმები აქვს და მარტივად არ დახურდავდება“

გვ.5





გია ხუხაშვილი: „ქართულმა ოცნებამ“ ნაციონალები მთავარ ოპოზიციად დანიშნა“

„საბოლოო დასკვნას მოგვიანებით გამოვაქვეყნებთ“

## ანა ნაცვლიშვილი: „ადგილი ჰქონდა ამომრჩევლის ირიბ კონტროლს“

გვ.3



## ნანა დევდარიანი: „ამ არჩევნებს დადებითად ვერ შევაფასებ“

გვ.4



ISSN 1987-9385



გვ.4

## ნუკრი ქანთარია: „ნაციონალები მოქალაქეების დაზაფვრას კიდევ ერთხელ ეცადნენ“

„არჩევნების შემდეგ პარტიები თავიანთ სტრატეგიას გადახედავენ“

ლურჯი წითელი ყვითელი შავი

# კახა კალაძე: „დიდი უპირატესობით გავიმარჯვეთ“

## სალომე სამადაშვილი: „საიდან იცოდა კალაძემ უბნების დახურვიდან 10 წუთში არჩევნების შედეგები?!“

შორენა მარსაგიშვილი

„ქართული ოცნების“ საარჩევნო შტაბის უფროსი კახა კალაძე მორიგ შარში გაეხვია. მან საარჩევნო უბნების დაკეტვიდან ძალიან მოკლე ხანში არჩევნების შედეგი გამოაცხადა. არადა, იმ მომენტისთვის საარჩევნო უბნებზე ჯერ ბიულეტენების დათვლაც არ იქნებოდა დაწყებული.



სკანდალის შემცველი განცხადება კალაძემ საგანგებო ბრიფინგზე გააკეთა. მან სიხარულითა და კმაყოფილებით აღნიშნა, რომ საქართველოში არჩევნები შედგა და მოსახლეობის უდიდესმა ნაწილმა ნდობა „ქართულ ოცნებას“ გამოუცხადა.

მადლიერმა და სულსწრაფმა კალაძემ მოსახლეობას ნდობისთვის მადლობა გადაუხადა და საპარლამენტო არჩევნების ჩატარება მიულოცა.

– მინდა, საქართველოს მოსახლეობას მივულოცო საპარლამენტო არჩევნების ჩატარება. ეს კიდევ ერთი წინ გადადგმული ნაბიჯი იყო დემოკრატიული განვითარების გზაზე. არჩევნებმა ჩაიარა თავისუფალ, სამართლიან და კონკურენტულ გარემოში, სადაც ამომრჩეველს საშუალება ჰქონდა, საკუთარი არჩევანი გაეკეთებინა.

მადლობას ვუხდით ამომრჩეველს აქტიურობისა და მაღალი მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობისთვის. საქართველოში არჩევნები შედგა და მოსახლეობის უდიდესმა ნაწილმა ნდობა გამოუცხადა „ქართულ ოცნებას“. ჩვენს ხელთ არსებული წინასწარი მონაცემებით, პრაქტიკულად ყველა საარჩევნო ოლქში ლიდერობენ პარტია „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს“ კანდიდატები, – განაცხადა „ოცნების“ საარჩევნო შტაბის უფროსმა.



შედეგებით აღფრთოვანებული კალაძე ერს ქვეყნის სწრაფ განვითარებას დაჰპირდა.

– „ქართული ოცნება“ მზად არის, საზოგადოების მიერ დაკისრებული ნდობა გაამართლოს და განაგრძოს იმ გეგმის განხორციელება, რომელიც სწრაფი განვითარების გზით საქართველოს მოსახლეობას კეთილდღეობას მოუტანს, – აღნიშნა კალაძემ.

მის განცხადებას, ბუნებრივია, ნაციონალებმაც მოუსმინეს და სერიოზული ეჭვებიც დაებადათ.

ნაცმოძრაობის ერთ-ერთ ლიდერ სალომე სამადაშვილის განცხადებით, საეჭვო და გაუგებარია, უბნების დახურვიდან 10 წუთის შემდეგ ვინმეს ჰქონდეს ინფორმაცია, თუ რა იყო არჩევნების შედეგი.

სამადაშვილის აზრით, კალაძის განცხადება მხოლოდ ერთ რამეზე მიუთითებს, რომ ის კარგად არის ინფორმირებული, თუ რა მექანიზმებით აპირებს „ოცნება“ ყველა ოლქის მოგებას.

– როგორც ჩანს, კახა კალაძე კარგად არის ინფორმირებული, თუ რა გაყალბების მექანიზმებით აპირებს „ქართული ოცნება“ ყველა ამ ოლქის მოგებას, იმიტომ რომ საარჩევნო უბნები ზუსტად 10 წუთის წინ დაიხურა. ამიტომ სრულიად გაუგებარია, ვინმეს ჰქონდეს ინფორმაცია, თუ რა იყო ამ არჩევნების შედეგი.

მსგავსი განცხადებები აჩვენებს მხოლოდ ერთ რამეს, რომ დღევანდელმა ხელისუფლებამ ნათლად და აშკარად აჩვენა, არანაირი პოლიტიკური ნება არც არასდროს ჰქონია და არც დღეს აქვს იმისთვის, რომ არჩევნები ჩატარებულიყო სამართლიანად და თავისუფალ გარემოში, – განაცხადა სალომე სამადაშვილმა.

# გიგა ბოკერია: „თუ არჩევნების შედეგები არ გაუქმდება, პროტესტის ყველა ზომას მივმართავთ“

## რა სკანდალური მასალა ჩაუვარდათ ხელში ნაციონალებს

შორენა მარსაგიშვილი

არჩევნების მეორე ტური განსაკუთრებული დაძაბულობის გარეშე ჩატარდა. რამდენიმე გამონაკლისის გარეშე ხმის მიცემის პროცედურა მშვიდ ვითარებაში მიმდინარეობდა. ახალციხის ერთ-ერთ უბანზე არჩევნები სულაც მუსიკის ფონზე წარიმართა.

როგორც მოსალოდნელი იყო, ყველაზე რთული ვითარება მარნეულში შეიქმნა. ნაციონალები იქ არჩევნების შედეგების გაუქმებას ითხოვენ. მოთხოვნის დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში ისინი საპროტესტო აქციებით იმუქრებიან.



ლტოლვილთა და განსახლების მინისტრმა სოზარ სუბარმა, რომელიც მარნეულში „ოცნების“ კანდიდატ თამაზ ნავერიანს განსაკუთრებულად უჭერს მხარს, უბნების დახურვიდან ძალიან მალე განაცხადა, რომ მათი კანდიდატი ყველა უბანზე ლიდერობდა.

საარჩევნო უბნების დახურვამდე ცოტა ხნით ადრე საგანგებო განცხადება გაავრცელა ნაციონალების მაჟორიტარობის კანდიდატმა ახმედ იმამკულიევმა. მისი განცხადებით, არჩევნები





გაყალბების ფონზე მიმდინარეობდა.

– ეს არჩევნები უნდა გაუქმდეს, ვინაიდან არჩევნები მიმდინარეობდა გაყალბების, დაშინებისა და დარღვევების ფონზე. არჩევნებმა არ ასახა ამომრჩევლის ნება და, აქედან გამომდინარე, 36-ე საარჩევნო ოლქში ჩატარებული არჩევნები უნდა გაუქმდეს, – განაცხადა იმამკულიევმა.

სკანდალური ინფორმაცია გაავრცელა ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთმა ლიდერმა გიგა ბოკერიამ.

მისი თქმით, მათ ხელში ჩაუვარდათ „ქართული ოცნების“ წარმომადგენლის ზაზა ბაირამოვის საუბრის ამსახველი ვიდეო, სადაც ის ყვება, თუ როგორ ჩაყარა 400 ბიულეტენი 86-ე უბანზე.

– ზაზა ბაირამოვმა ეს ინფორმაცია ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენელს თავად უამბო, რადგან არ იცოდა, რომ ნაციონალების წევრს ესაუბრებოდა, – აღნიშნა ბოკერიამ.

ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენლებმა ბაირამოვის ფოტოებთან ერთად ვიდეოც გაავრცელეს, სადაც 400 ბიულეტენის ჩაყრაზეა საუბარი.

– ეს ფაქტი კიდევ ერთხელ მიანიშნებს მასშტაბურ დარღვევებზე, რომლებიც მარნეულში იყო. ამ უბანზე დააშინეს ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენელი და სწორედ ამის მეშვეობით მოხდა ამ უბანზე საარჩევნო ბიულეტენების უკანონოდ ჩაყრა, – აღნიშნა ნაცმოძრაობის ერთ-ერთმა ლიდერმა.

მარნეულის მაჟორიტარობის კანდიდატის მსგავსად, ისიც მოითხოვს, რომ შედეგები გაუქმდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში, საპროტესტო აქციებით იმუქრება.

– თუ არჩევნების გაუქმებასთან დაკავშირებით ჩვენი მოთხოვნა არ დაკმაყოფილდება, მივმართავთ დემოკრატიული პროტესტის ყველა ზომას. ჩვენს ინტერესშია, ყველაფერი იყოს მშვიდობიანად.

ეს არის ჩვენი პოზიცია თავიდანვე და არა ის უბინძურესი კამპანია, რომ ნაციონალური მოძრაობის ინტერესში იყო გადატრიალება ან არეულობა. ეს ყველაფერი ემსახურებოდა ამომრჩევლის დაშინებასა და იმ შთაბეჭდილების შექმნას, რომ ძალიან ცუდად არის ყველაფერი ქვეყანაში, მაგრამ არეულობა მაინც არ უნდა გინდოდეთ, ხალხო. ამ ბინძურ მეთოდს მიმართა ივანიშვილმა. ჩვენი ამოცანაა, მომავალში კვლავ გვქონდეს ის ვითარება, რომ იმ ტიპის ქმედებებითაც ვერ შეძლებენ არჩევნების გაყალბებას, როგორც დღეს მოხდა და ამას აუცილებლად მივაღწევთ, – განაცხადა ბოკერიამ.

ნაციონალების ბრალდებებს აბსურდული უწოდა სოზარ სუბარმა. ის ვერ ამტკიცებს, რომ არჩევნებმა სრულიად სამართლიანად ჩაიარა, მაგრამ სერიოზულ გაყალბებებს გამორიცხავს.

– შესაძლოა, იყო გარკვეული ინციდენტები, რასაც მოჰყვება შესაბამისი რეაგირება. ნაციონალურ მოძრაობას ყველგან ჰყავდა დამკვირვებლები, ყველა უბანზე იყვნენ არასამთავრობოები, ყველა უბანზე შედიოდნენ საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები. გაყალბება გამორიცხულია, – განაცხადა ლტოლვილთა და განსახლების მინისტრმა.

◆ ◆ ◆

ნაციონალების მიერ გავრცელებულ სკანდალისმომცველ ინფორმაციას უარყოფს მარნეულის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე იაკობ ასანიძე.

მისი თქმით, უბანზე სულ 380-მა ამომრჩეველმა მისცა ხმა და, შესაბამისად, 400 ბიულეტენის ჩაყრაზე საუბარი არარეალურია.

– წინასწარი მონაცემებით, რაც მე მაქვს, 86-ე საარჩევნო უბანზე სულ ხმა მისცა 380-მა ამომრჩეველმა. შესაბამისად, მტკნარი სიცრუეა საუბარი იმაზე, რომ ვინმემ 400 ბიულეტენი ჩაუშვა საარჩევნო ყუთში. 86-ე უბანზე კენჭისყრა მიმდინარეობდა სამართლიანად, გამჭვირვალედ, ექსცესების გარეშე. დაძაბულობას ადგილი არ ჰქონია, – განაცხადა იაკობ ასანიძემ.



### ირაკლი კობახიძე: „ეს ვიდეო კომიკურია“

„ქართული ოცნების აღმასრულებელმა მდივანმა ირაკლი კობახიძემ კი ვიდეომასალას 400 ბიულეტენის ჩაყრის შესახებ კომიკური უწოდა.

როგორც კობახიძემ საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერში განაცხადა, ნაციონალური მოძრაობის მხრიდან ორი კომიკური ვიდეომასალა გავრცელდა.

– პირველ შემთხვევაში საუბარი იყო თითქოს ადამიანის მოქრთამვაზე და თავები არ უჩანდათ ადამიანებს. ძალიან სასაცილოა ეს ყველაფერი და ასეთ ვიდეომასალაზე კომენტარის გაკეთება შეუძლებელია. მეორე შემთხვევაში ადამიანი ამაყად საუბრობს იმაზე, რომ ჩაიდინა სისხლის სამართლის დანაშაული. ესეც, ბუნებრივია, ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებს და ამაზე სერიოზული კომენტარის გაკეთება შეუძლებელია, – განაცხადა ირაკლი კობახიძემ.

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# ანა ნაცვლიშვილი: „ადგილი ჰქონდა ამომრჩევლის ირიბ კონტროლს“

## „საბოლოო დასკვნას მოგვიანებით გამოვაქვეყნებთ“

ნათია ხურცილავა

ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის თავმჯდომარე ანა ნაცვლიშვილი „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში საპარლამენტო არჩევნებზე საუბრობს.

***– როგორ შეაფასებთ არჩევნების მეორე ტურს, რამდენად თავისუფლად მიმდინარეობდა ხმის მიცემის პროცესი?***

– ხმის მიცემის პროცესი ძირითადად მშვიდ ვითარებაში მიმდინარეობდა. განსაკუთრებით მძიმე დარღვევა, რომელიც გავლენას იქონიებდა შედეგებსა და ზოგადად პროცესზე, არ დაფიქსირებულა. ჩვენი დამკვირვებლების მიერ დაფიქსირებული იყო რამდენიმე პროცედურული ხასიათის ხარვეზი და კანონმდებლობასთან შეუსაბამო მოქმედება.

***– კონკრეტულად რა დარღვევის ფაქტზე საუბრობთ?***

– მაგალითად, იყო დოკუმენტაციის არასწორად შევსების შემთხვევები, რომელიც საკონტროლო ფურცელს ეხება, ასევე იყო კომისიის წევრის მიერ თავისი მოვალეობის არაჯეროვანი შესრულების ფაქტები. სამწუხაროდ, კვლავ დაფიქსირდა დამკვირვებლების მიმართ ხელის შეშლა.

იყო ერთი შემთხვევა, როდესაც ოპოზიციური პარტიის, ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენელი ჩვენს, საიას დამკვირვებელს მუქარის ტონით ესაუბრა და გააკრიტიკა სწორედ იმის გამო, რომ მან საჩივარი დაწერა.

ასევე დაფიქსირდა ორი შემთხვევა ისნის საარჩევნო უბანზე, როდესაც სადამკვირვებლო ორგანიზაციის წარმომადგენლის სამკერდე ნიშანი, ე.წ. ბეიჯი და ცესკოს შესაბამის ბაზაში არსებული მონაცემები ერთმანეთს არ ემთხვეოდა. ეს მნიშვნელოვანი საკითხია, რომელსაც საარჩევნო კომისიამ სათანადო ყურადღება უნდა მიაქციოს. ეს საკითხი უნდა იქნეს შესწავლილი და ცესკომ თვალყური უნდა მიადევნოს, რომ საქმე გვაქვს ტექნიკურ პრობლემასთან და არა სხვა რაიმე სახის დარღვევასთან.

დაფიქსირებულ დარღვევებს შორის არის ნაციონალური მოძრაობის მხრიდან წილისყრის პროცედურებში მონაწილეობაზე უარის თქმა.

***– რა მიზეზით ამბობენ უარს?***

– 8 ოქტომბრის არჩევნებზეც დაფიქსირდა იგივე ფაქტები, როდესაც ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენლები უარს ამბობდნენ წილისყრაზე. ამაზე სასამართლოში გვქონდა დავა, რომელიც ჩვენთვის წარმატებით დასრულდა. სასამართლო დაგვეთანხმა, რომ კომისიის წევრები ვალდებულნი არიან, წილისყრაში მონაწილეობა მიიღონ. ეს არ არის სურვილზე დამოკიდებული საკითხი. აქ საუბარია ვალდებულებაზე. დღევანდელი კანონმდებლობით ეს საკითხი დარეგულირებულია.

ასევე გვქონდა რამდენიმე შემთხვევა, როდესაც სადამკვირვებლო ორგანიზაციის სახელით მოქმედი ადამიანები თავს წარადგენდნენ, როგორც პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები. ეს ფაქტი კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს იმ პრობლემას, რომელიც არსებობს. ვგულისხმობ იმას, როდე-



საც არასამთავრობო ორგანიზაციის საფარქვეშ მოქმედებენ პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები.

***– თუ იყო კიდევ სხვა ტიპის დარღვევები?***

– პრობლემა, რომელიც არჩევნების პირველი ტურის დროს დავაფიქსირეთ, იყო საარჩევნო უბნის მიმდებარე ტერიტორიაზე კოორდინატორების, აქტივისტების მობილიზება, რაც, გარკვეულწილად, ხელს უწყობს სიტუაციის დაძაბვას, ყოველ შემთხვევაში, რისკებს ქმნის. ეს ადამიანები სიებით ხელში დგანან და ჩვენ ამ მავნე პრაქტიკას ვაფასებთ, როგორც ამომრჩევლის მიმართ ირიბი კონტროლის განხორციელების მცდელობას.

***– ზოგადად, 8 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების პროცესის მთავარი მინუსი რა იყო? არასამთავრობო სექტორი ყურადღებას ამახვილებდა საარჩევნო კომისიის წევრების დაბალ კვალიფიკაციაზე, ხშირ შემთხვევაში, საარჩევნო კოდექსის არცოდნაზე.***

– ამ არჩევნების ყველაზე მძაფრი მახასიათებლები რომ გამოვყოთ, დიახ, ეს არის საარჩევნო კომისიის, ხშირ შემთხვევაში, დაბალი კვალიფიკაცია. შეიძლება, ეს ლოგიკურიც იყოს, რადგან ჩვენ მონიტორინგს ვუწევთ კომისიის წევრების შერჩევის პროცესს და, კანონის მოთხოვნისგან განსხვავებით, რომ ეს ადამიანები პროფესიული წრეებიდან იყვნენ თავიანთი კვალიფიკაციით შერჩეულნი, ხშირ შემთხვევაში, მათ, შეიძლება, პოლიტიკური კავშირები ჰქონდეთ და ამის გამო გახდნენ კომისიის წევრები.

ამ არჩევნებზე ნამდვილად იყო კვალიფიკაციის პრობლემა. ასევე ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემა საარჩევნო დავების განხილვისას საარჩევნო ადმინისტრაციისა და სასამართლოს მხრიდან დაბალი სტანდარტია.

ასევე ძალიან სამწუხარო იყო ის ძალადობრივი მოვლენები, რომლებიც რამდენიმე შემთხვევაში პირველ ტურს ახლდა. ეს იყო ამ არჩევნების მნიშვნელოვანი ხარვეზი. რა თქმა უნდა, ყოველთვის, როდესაც დამკვირვებელს ექმნება პრობლემა, ეს არის დარღვევა და მიუღებელია.

***– 8 ოქტომბრის არჩევნებზე თქვენ თქვით, რომ ეს იყო უკან გადადგმული ნაბიჯი, საპრეზიდენტო და ადგილობრივ არჩევნებთან შედარებით. დღეს რა შეგიძლიათ გვითხრათ?***

– დავაზუსტებ, ჩვენ მაშინ ვთქვით, რომ, წინა არჩევნებთან შედარებით, 8 ოქტომბერს ჩატარებული არჩევნების ხარისხი გაუარესებული იყო. რაც შეეხება მეორე ტურის შეფასებას, ეს პროცესი ჯერ ბოლომდე არ დასრულებულა, წინ არის ხმის დათვლის პროცედურა, შეჯამება, თუმცა ამ დროისთვის, საბედნიეროდ, მნიშვნელოვანი ტიპის დარღვევა ან მასობრივი ხასიათის პრობლემა დაფიქსირებული არ არის, იყო მხოლოდ რამდენიმე შემთხვევაში. აჭარაში ადგილი ჰქონდა ხელის შეშლის ფაქტს, როდესაც მედიის წარმომადგენელს ხელი შეეშალა თავისი პროფესიული მოვალეობის შესრულებისას. ასევე იყო ადამიანის ფიზიკური შეურაცხყოფის შემთხვევა გორში. ასეთი შემთხვევები რეაგირების მიღმა არ უნდა დარჩეს.

ამდენად, ჯერ პროცესი საბოლოოდ არ დასრულებულა. წინ არის რამდენიმე მნიშვნელოვანი პროცედურა და საბოლოო დასკვნას შემდეგ გავაკეთებთ.

# რატომ გართულდა მიმოსვლა სარფის საბაჟოზე

## გელა ხუციშვილი: „საქართველომ სასაზღვრო რეჟიმი აუცილებლად უნდა გაამკაცროს“

შორენა მარსაგიშვილი

რა ხდება საქართველო-თურქეთის საზღვარზე, რა საფრთხეების წინაშე დგას ქვეყანა, ვინ და როგორ უნდა გააკონტროლოს სახელმწიფო საზღვარი? – ამ თემებზე „ახალ თაობას“ ექსპერტი სასაზღვრო საკითხებში გელა ხუციშვილი ესაუბრება.





kakhasblog.ltd.ge

***– სარფის საბაჟოზე არსებულ შეფერხებას ბევრი მითქმა-მოთქმა მოჰყვა. ოფიციალური ვერსიით, შეფერხება ტექნიკურ პრობლემებს უკავშირდება. თქვენ წლების განმავლობაში იყავით სასაზღვრო ძალების სარდლის მოადგილე და კარგად იცნობთ საზღვრების სპეციფიკას. ასეთი შეფერხებები რამდენად ხშირად ხდება?***

– ის პროცესები, რომლებიც ბოლო დროს თურქეთის საზღვართან ხდება, ჩემში ძალიან ბევრ ეჭვს იწვევს. ცოტა ხნის წინ მოულოდნელად გაირკვა, რომ თურქეთთან სადავო გვქონდა 6 ჰექტარი. საბჭოთა კავშირის დაშლიდან მოყოლებული, დღემდე ასეთი პრეტენზია არავის წამოუყენებია. ამ პრეტენზიებს საზღვარზე შეფერხებებიც დაემატა. ეჭვებს იწვევს ის ფაქტიც, რომ იმათ შეუფერხებლად ატარებენ, ვისაც სამუშაო ვიზა აქვს, სხვები კი სირთულეებს აწყდებიან.

ნებისმიერ სახელმწიფოს აქვს უფლება, სასაზღვრო რეჟიმი შეცვალოს იმის მიხედვით, თუ რა ვითარებაა ქვეყანაში. უნდა გვახსოვდეს, რომ ეს ქვეყანა ესაზღვრება სირიას, სადაც ომი მიმდინარეობს. ამ ომში ჩართული არიან ქურთებიც. შესაბამისად, თურქეთმა საზღვრებზე კონტროლი უნდა გაამკაცროს.

***– თქვენ ფიქრობთ, რომ სარფის საბაჟოზე გართულებები სირიის კონფლიქტს უკავშირდება?***

– მე ბევრ რამეზე მაქვს ეჭვი და არ გამოვრიცხავ, რომ სასაზღვრო რეჟიმის გამკაცრება სწორედ ამას უკავშირდება.

***– თუ ასეა, რატომ სახელდება სხვა მიზეზი?***

– შესაძლოა, ამის აფიშირება არ სურთ. ფაქტი ისაა, რომ ასეთი რამე წარსულში არ მომხდარა. იმას, რაც დღეს ხდება, ბუნებრივი ფორმის სახე არა აქვს. ის ისეთ რაღაცასთან არის დაკავშირებული, რასაც მე ვერ ავხსნი.

***– არ გამორიცხავთ, რომ სასაზღვრო რეჟიმის შეცვლა სირიის კონფლიქტს უკავშირდებოდეს, მაგრამ საქართველოსთან რატომ გაამკაცრა რეჟიმი, აქედანაც საფრთხეს ელოდება?***

– მხოლოდ საქართველოსთან არ იქნება ასე. არა მგონია, საბერძნეთთანაც მარტივად იყოს მიმოსვლა. სომხეთთან მას საერთოდ არ აქვს საზღვარი. ეს მიმართულება დაკეტილია.

საქართველოს ბევრ სახელმწიფოსთან აქვს უვიზო მიმოსვლა. საბერძნეთში შენგენის ვიზის გარეშე ვერ მოხვდები. აქედან გამომდინარე, თურქეთისთვის ყველაზე მოწყვლადი მიმართულება საქართველოა. ამდენად, სრულიად ბუნებრივია, თუ ანკარა საქართველოსთვის სასაზღვრო რეჟიმს გაამკაცრებს.

***– გამოდის, რომ თურქეთის მიერ სასაზღვრო რეჟიმის გამკაცრება საქართველოს მიერ დაწესებულ უვიზო მიმოსვლასთან ყოფილა კავშირში.***

– დანამდვილებით გამიჭირდება იმის მტკიცება, ეს ზუსტად რას უკავშირდება, მაგრამ ფაქტია, რომ საქართველოში უპრობლემოდ შემოდის ყველა, ვისაც მოესურვება. არც ის დაგვავიწყდეს, რომ ისლამური სახელმწიფოს მხარეს ასეულობით ეთნიკური კავკასიელი იბრძვის. იქ ჩვენი თანამოქალაქეებიც იბრძვიან. ამ თემაზე ანკარა, ოპერატიული თვალსაზრისიდან გამომდინარე, ხმამაღალ განცხადებას არ აკეთებს. ყველაფერი იმაზე მიუთითებს, რომ რაღაც ძალიან სერიოზული ხდება და ჩვენ ამაზე აუცილებლად უნდა დავფიქრდეთ.

***– რაზე მიანიშნებთ?***

– როდესაც მეზობელი ქვეყანა სასაზღვრო რეჟიმს ამკაცრებს, ის შენგან რაღაც საფრთხეს ელის, ეს კი იმას ნიშნავს, რომ ჩვენს ქვეყანაში ისეთი რაღაც ხდება, რასაც სერიოზულად უნდა მოვეკიდოთ.

***– უკვე მეორედ ამბობთ, რაღაც სერიოზული ხდებაო და რას გულისხმობთ?***

– იმას ვგულისხმობ, რომ ცოტა მეტი ყურადღება უნდა მივაქციოთ იმას, თუ ვინ შემოდის ქვეყანაში.

***– ამით რის თქმა გინდათ, რომ საქართველომაც უნდა გაამკაცროს სასაზღვრო რეჟიმი?***

– რაც ახლო აღმოსავლეთში ეს უბედურებები დაიწყო, მაშინვე უნდა გაგვემკაცრებინა სასაზღვრო რეჟიმი. რაც დღეს საქართველოში ხდება, დაუშვებელია. სხვების არ ვიცი და მე ძალიან მეშინია.

***– რისი ან ვისი გეშინიათ?***

– კარგად გადახედეთ, თბილისში რა კატეგორიის ხალხი დადის და მიხვდებით, რისიც მეშინია. ამ საკითხზე საქმეში ჩაუხედავ ადამიანებსაც უჩნდებათ კითხვები და, ხომ წარმოგიდგენიათ, მე, როგორც ამ საქმის მცოდნე, რა დღეში ვიქნები.

***– მოდით, ისევ თურქეთის მიერ სასაზღვრო რეჟიმის გამკაცრების თემას დავუბრუნდეთ. ერთ-ერთი ვერსიით, რეჟიმის შეცვლა საქართველოში გაკეთებულ ანტითურქულ განცხადებებთან არის კავშირში. ამ ვერსიას გამორიცხავთ?***

– მიზეზი, შესაძლოა, ბევრი იყოს, მაგრამ ამ ვერსიას კატეგორიულად გამოვრიცხავ, ვერც იმას ვიტყვი, რომ აქ ანტითურქული განცხადებები კეთდება და ანტითურქული განწყობაა.

ვინმეს თუ მხედველობაში რამდენიმე კვირის წინ ალმაშენებლის გამზირზე მომხდარი ინციდენტი აქვს, ეს არაფერს ნიშნავს. ის, რაც მოხდა, კარგად დაგეგმილი პროვოკაცია იყო. ვიღაც ძალიან მეთოდურად მუშაობს იმაზე, რომ საქართველოს მეზობლებთან პრობლემები შეექმნას.

მე ადრეც არაერთხელ მითქვამს და ახლაც გავიმეორებ, რომ მივიწყებული წარსული არ არსებობს. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ აღიარებული ვართ 1991 წლის 21 დეკემბრის მდგომარეობით არსებულ საზღვრებში, არავისთან ტერიტორიული პრეტენზია არ გაგვაჩნია. ეს არის დე იურე. დე ფაქტო ხომ არის 23.000 კვ.კმ. თავისი მოსახლეობით, რომელიც ახლა თურქეთის საზღვრებშია მოქცეული. 3.000 კვ.მ. სომხეთის მხარეს არის, 4.000 – აზერბაიჯანის მხარეს. მართალია, ხმამაღლა არ ვამბობთ, მაგრამ ეს ტერიტორიები ოკუპირებულია.

ახლა ვიღაცამ, შესაძლოა, თქვას, რომ ეს ტერიტორიები ნებაყოფლობით გადავეცით. ჩვენ თუ ვამბობთ, რომ 1921 წელს საქართველოს ოკუპაცია მოხდა, მაშინ რატომ უარვყოფთ ამ მიწების ოკუპაციის ფაქტს? სწორედ იმ ოკუპაციის გამოძახილი იყო, რაც მოხდა. 1993 წელს მთელმა რიგმა სახელმწიფოებმა თურქეთისგან პირდაპირ მოითხოვეს ბრესტის ზავის ანულირება და სომხეთ-საქართველოსთვის მათი კუთვნილი მიწების დაბრუნება. ამოვწიოთ ეს დოკუმენტიც და ნუ დაგვავიწყდება, რომ ერთი პერიოდი იმაზეც ვაპელირებდით, რომ პირველი რესპუბლიკის სამართალმემკვიდრე ვიყავით.

აუცილებელია საზღვრებთან დაკავშირებით გაფორმებული ხელშეკრულებების რევიზია და ინვენტარიზაცია. დროა, გამოვფხიზლდეთ და დავინახოთ, რა ხდება ჩვენ გარშემო – სახელმწიფოები მარტივ მამრავლებად იშლება.

***– ფიქრობთ, რომ ჩვენც ეს გველოდება?***

– ჩვენ ნელი მოქმედების ნაღმზე ვსხედვართ. რა დროს რა იქნება, არავინ იცის. ძალიან ცუდია, რომ საქართველო ამისთვის მზად არ არის. პირველი, რაც უნდა გაკეთდეს, სასაზღვრო უწყება უნდა გამოეყოს შსს-ს, ისევ ცალკე უწყება გახდეს და პრემიერს დაექვემდებაროს. საზღვრების დაცვა ასე უკეთესად იქნება შესაძლებელი.

**გახდომა-გასუქება 5-20 კგ-ით თვეში!**

მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. რეგულირდება მადა, ქრება უსიამოვნო სუნი პირიდან, წესრიგდება ნივთიერებათა ცვლა და კუჭ-ნაწლავი. ორგანიზმი იწმინდება მთლიანად შლაკებისგან, სისხლძარღვები — ქოლესტერინისაგან. ძლიერდება იმუნიტეტი, კანი ხდება უფრო ახალგაზრდა, ელასტიკური. დადგებით სასურველ წონაზე და შეინარჩუნებთ მას სტაბილურად.

**სიმაღლეში ზრდის უახლესი, სწრაფი და ეფექტური პროგრამები 1-დან 25 წლამდე**

კურსით 3-5 სმ-ის მომატებით. ვიტამინების, ძვლის მკვებავი მინერალების, ამინომჟავების კომპლექსით, პლუს ვარჯიშებით. მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა ინდივიდუალურია. კურსის გამეორება შეგიძლიათ სასურველ შედეგამდე. **ქ-ნი ქეთევანი**

მის. მეტრო „დიდუბე“, წერეთლის ქ. 142, I სართული, კაბინეტი №6
☎ 577-29-37-41, 247-58-83

# ნანა დევდარიანი: „ამ არჩევნებს დადებითად ვერ შევაფასებ“

ნონა ცაბაძე




## რას უწუნებს ცესკოს ყოფილი თავმჯდომარე ახლანდელ ცენტრალურ საარჩევნო კომისიას

„როგორ შეიძლება აიხსნას, რომ 72 საათის განმავლობაში 15 უბანი ვერ დაითვალეს?!“

არჩევნების კარგად ჩატარებისთვის ცესკოს მთავარი მნიშვნელობა ენიჭება. როგორ იმუშავა 2016 წლის არჩევნებში ცესკომ? – „ახალი თაობის“ კითხვებს ცესკოს ყოფილი თავმჯდომარე ნანა დევდარიანი პასუხობს.

***– ქალბატონო ნანა, როგორ აფასებთ ცესკოს მუშაობას? ძალიან ბევრი კრიტიკა მოვისმინეთ დარღვევებისა და გაყალბებების შესახებ. უშუალოდ ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიმართ კი ნაკლები იყო პრეტენზია. როგორია თქვენი პოზიცია?***

– საქმე ის არის, რომ ცესკოში ციფრებთან, მონაცემებთან და შედეგებთან კავშირი არის ბოლო მომენტში, როდესაც ოლქიდან მოსული შედეგების შეჯამება ხდება. ძირითადი პროცესი მიმდინარეობს უბანზე. ყველაფერი ხდება უბანზე, დარღვევა იქნება ეს, გაყალბება თუ სხვა რამ. რაც შეეხება უბნებს, იქ, მოგეხსენებათ, კომისიები პარტიული ნიშნით არის დაკომპლექტებული. ამიტომ ადგილებზე საკმაოდ ხშირად ხდება ხოლმე პარტიებს შორის გარიგებები.

***– საით მიანიშნებთ?***

– ამ არჩევნებზე, ყველა პროგნოზით, უნდა ყოფილიყო მრავალპარტიული პარლამენტი და მივიღეთ ორპარტიული პარლამენტი. გვახსოვს კარგად, რომ პატრიოტთა ალიანის სამი დღე 4,99%-ზე იყო გაჩერებული. ეს 15 უბანი ვერა და ვერ დაითვალეს 3 დღის განმავლობაში.

***– ეს ხელოვნური პროცესი იყო?***

– სხვაგვარად როგორ შეიძლება აიხსნას, რომ 72 საათის განმავლობაში 15 უბანი ვერ დაითვალეს?! შეგახსენებთ, ეს ემთხვევა იმ მომენტს, როდესაც სააკაშვილმა თქვა, რომ ნაციონალები პარლამენტში არ შევიდოდნენ. დავუშვათ, არ შესულიყო ნაციონალური მოძრაობა, გამოდიოდა, რომ „ქართული ოცნება“ რჩებოდა მარტო და ეს არავის აწყობდა.

***– ამიტომ შეიყვანეს პატრიოტთა ალიანსი?***

– დიახ და ამასობაში ნაციონალურმა მოძრაობამ გადაიფიქრა და პატრიოტთა ალიანსი შევიდა იმ მინიმალური 5,01%-ით. იქ რომ მანიპულაციები იყო, ყველა მონაწილე სუბიექტი აღნიშნავს. პირველ დღეებში, არჩევნების შემდეგ, ყველა მონაწილე სუბიექტი იყო გაჩუმებული და უყურებდა ნინო ბურჯანაძეს, რომელმაც ზუსტად იცოდა, რამდენი მხარდამჭერი ჰყავდა და რა შედეგი უნდა ყოფილიყო. არის კიდევ სხვა საეჭვო მომენტები.

***– საეჭვოში რას გულისხმობთ?***

– 2003 წელს, როდესაც მე ვიყავი ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე, 3 მილიონ 200 ათასი ამომრჩეველი იყო. იმის მერე კიდევ გავიდა ხალხი საზღვარგარეთ, შობადობის ბუმიც არ არის საქართველოში. თუმცა აღმოჩნდა, რომ იმრავლა ამომრჩეველმა და 3 მილიონ 500 ათასამდე ავიდა მისი რაოდენობა.

***– საით მიანიშნებთ, რომ სიები გაბერილი იყო?***

– კი არ მივანიშნებ, პირდაპირ ვამბობ. ჩვენმა კანონმდებლებმა არა და არ შეიტანეს ცვლილება კანონში. საქმე ის არის, რომ ქვეყნიდან გასული ამომრჩეველი სიაში არის და ვერც ამოიღებ, რადგან თეორიულად ის შეიძლება ჩამოვიდეს არჩევნების დღეს და, რომ არ აღმოჩნდეს სიაში, გიჩივლებს. ამიტომ საჭიროა საკანონმდებლო ცვლილება, რომელიც ამ ადამიანებს ხმის უფლებას არ წაართმევს, მაგრამ, მეორე მხრივ, ამომრჩეველთა ასეთი არარეალური სია არ უნდა იყოს.

აქ არის კიდევ ერთი საინტერესო მომენტი – აბსოლუტურად ყველა ოლქში არჩევნების წინა დღეებში ზოგან 2 ათასი, ზოგან 3 ათასი ამომრჩეველი დაემატა. საიდან მოვიდა ეს ამომრჩეველი, არავინ იცის. ამომრჩეველი მიწერილია არარსებულ მისამართებზე, არარსებულ კორპუსებზე.

***– ეს ცესკომ გააკეთა?***

– ვერ გეტყვით, ეს ცესკომ გააკეთა, იუსტიციის სამინისტრო დაეხმარა, შინაგან საქმეთა სამინისტრო თუ ვინ, მაგრამ ფაქტია, რომ ასე იყო. საბოლოო ჯამში, ჯოხი მაინც ცესკოზე ტყდება, რადგან საარჩევნო ადმინისტრაციას ცესკო ხელმძღვანელობს, მაგრამ აქ ჩართული არიან სხვა სახელმწიფო სტრუქტურებიც.

ცესკო აკეთებს ამას იმ მონაცემების საფუძველზე, რომელთაც იღებს შინაგან საქმეთა სამინისტროდან და იუსტიციის სამინისტროდან. აღარაფერს ვიტყვი იმაზე, რომ დიდი მითქმა-მოთქმაა ყალბ პირადობის მოწმობებზე, რომლებიც დაარიგეს და ამ ყალბი მოწმობებით ხალხი სხვადასხვა ადგილას აძლევდა ხმას.

***– ანუ კარუსელი ამ არჩევნებზეც აქტიურად მუშაობდა?***

– კი, რა თქმა უნდა. არავინ ჩათვალოს, რომ მე ახლა ამ არჩევნებზე ვამბობ რამეს და არ ვგულისხმობ იმას, რაც მანამდე, ნაციონალების დროს ხდებოდა. ისინი საერთოდ ისე ჭრიდნენ და კერავდნენ კანონმდებლობას, როგორც თვითონ გაეხარდებოდათ. რევოლუციის შემდეგ, როცა ცესკოს თავმჯდომარე გახდა ჭიაბერაშვილი და ჩაატარა იანვარში საპრეზიდენტო არჩევნები, საერთოდ გაუგონარი შესწორება შეიტანა.

***– რომელ შესწორებას გულისხმობთ?***

– მათ გამოაცხადეს, რომ ამომრჩეველი ყველა კი არ ვართ, არამედ ამომრჩეველი ყოფილა ის, ვინც მივა და თვითონ დარეგისტრირდება საუბნო კომისიაში. ეს თავისთავად აბსურდია! ამან მისცა მათ საშუალება, მინიმუმამდე დაეწიათ ამომრჩეველთა რაოდენობა. მაშინ სპეციალურად დავიარე, საარჩევნო უბნები ცარიელი იყო და აჩვენეს 93% სააკაშვილის სასარგებლოდ. მერე და მერე საერთოდ აიშვეს. დღეს რომ გაჰყვირიან, „ოცნებას“ საკონსტიტუციო უმრავლესობა არ უნდა ჰქონდესო, თვითონ რა ხერხებითა და საშუალებებით მოიპოვეს საკონსტიტუციო უმრავლესობა 2008 წელს, ყველას კარგად გვახსოვს.

***– ვიდრე საკონსტიტუციო უმრავლესობას შევეხებოდეთ, რა ეტაპები გაიარა ცესკომ 2003 წლიდან დღემდე? სიტუაცია გაუარესდა თუ გაუმჯობესდა?***

– ჭიაბერაშვილმა რაც გააკეთა, უკვე გითხარით.

***– თქვენით დავიწყოთ.***

– მე ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ვიყავი 2 თვე თუ ცოტა მეტი. გასაოცარი და სასაცილოა, რასაც ჩემგან მოითხოვდნენ იმ 2 თვეში – აბსოლუტურად დაზუსტებულ ამომრჩეველთა სიას. დღესაც არ აქვს არავის ეს გაკეთებული. აი, ეს არის ყველაზე მთავარი.

მინდა, ისიც შევახსენო მკითხველს, რომ მაშინდელ არჩევნებზე 3 ბიულეტენი იდებოდა კონვერტში. ერთი იყო პროპორციული, მეორე – მაჟორიტარული და მესამე – რეფერენდუმის, პარლამენტის წევრთა რაოდენობის შემცირებასთან დაკავშირებით.

რევოლუციის შემდეგ უზენაესმა სასამართლომ ამ სამიდან მხოლოდ ერთი ბიულეტენი ანუ პროპორციული გააუქმა. ახლა თუ ვინმე ახსნის, როგორ მოხერხდა, რომ მაინცდამაინც პროპორციული გაყალბდა და მაჟორიტარული და რეფერენდუმის სამართლიანად და სწორად იყო ჩატარებული, ამას ვერავინ დაასაბუთებს ვერასოდეს. მეტსაც გეტყვით, სამართლებრივი თვალსაზრისით 2003 წლის არჩევნების შედეგები დღესაც არ არის გაუქმებული.

***– ეს როგორ?***

– როგორც წესი, ეს უნდა განეხილა საკონსტიტუციო სასამართლოს, სააკაშვილმა კი განახილვინა უზენაეს სასამართლოს და სამიდან მხოლოდ ერთი ბიულეტენი გააუქმებინა. აი, ეს არის იურისტ სააკაშვილის მიერ ჩადენილი ქმედება. იმ არჩევნებით 6 პარტია შევიდა პარლამენტში.

ჭიაბერაშვილის მერე თარხნიშვილი და ხარატიშვილი იყვნენ ცესკოს თავმჯდომარეები და ყველა მათგანი იყო რეჟიმის აბსოლუტური მსახური. ამ პროცესებს ახლაც არ არის ჩამოშორებული ხარატიშვილი, რომლის ცოლის კომპანიაც ატარებს სოციოლოგიურ კვლევებს.

***– არც ბოლო არჩევნებს აფასებთ დადებითად?***

– ძალიან მინდა, დადებითად შევაფასო, მაგრამ არაფრით არ გამომდის, ფაქტები არ მაძლევს ამის საშუალებას. თუნდაც ნინო ბურჯანაძის საჩივრები ავიღოთ, 300 საჩივარი ჰქონდა უბნების გადათვლაზე და არცერთი არ დაკმაყოფილდა. ელემენტარულად, თუ ყველაფერი წესრიგში გაქვს და სწორად გაქვს გაკეთებული, რამდენიმე უბანზე მაინც გადათვალე და დაუმტკიცე ამ ხალხს, რომ ყველაფერი სწორად არის. მაგრამ ეს გაჯიუტება, მთელი საქართველოს მასშტაბით უარის თქმა პირდაპირ მიანიშნებს იმაზე, რომ გახსნა არ აწყობთ, რადგან შედეგები არ არის რეალურად ისეთი, რაც ნაჩვენებია. 3,5% დაუწერეს, როცა აჭარაში 7% აქვს. ასე არ ხდება.

# ჭიათურაში „ქართული ოცნების“ კანდიდატმა გამარჯვება შედეგების გამოცხადებამდე აღნიშნა

ჭიათურაში „ქართული ოცნების“ მაჟორიტარობის კანდიდატის გამარჯვება წინასწარ აღნიშნეს.

იმის მიუხედავად, რომ №56 საარჩევნო ოლქის 58-ვე უბანზე ხმის დათვლის პროცედურები ჯერ არ იყო დასრულებული, სულხან მახათაძის გამარჯვება მისმა მხარდამჭერებმა და თავად კანდიდატმა საბოლოო შედეგების გამოცხადებამდე, ფეიერვერკებით აღნიშნეს.

მახათაძის მხარდამჭერები ქალაქში ავტომობილებით, სიგნალებითა და ხმამაღალი მუსიკის თანხლებით გადაადგილდებოდნენ, მაშინ, როცა 58 საარჩევნო უბნიდან მხოლოდ 9 უბნის მონაცემი იყო ცნობილი.

ჭიათურაში სულხან მახათაძის მეტოქე თავისუფალი დემოკრატი თეიმურაზ გაფრინდაშვილი იყო.

– ჩვენი კანდიდატის საბოლოო გამარჯვებაზე საუბარი ნაადრევია, თუმცა არის უბნები, სადაც ის უკვე იმარჯვებს, – განაცხადა თავისუფალი დემოკრატების აღმასრულებელმა მდივანმა თამარ კეკენაძემ ტელეკომპანია „იმედის“ პირდაპირ ეთერში საუბრისას.

თავისუფალი დემოკრატების ლიდერის თქმით, სამწუხაროდ, გრძელდება ის არაჯანსაღი სიტუაცია, როდესაც უბნის გარეთ უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლები მოძრაობენ, რომლებიც ზეგავლენას ახდენენ ამომრჩეველზე, თუმცა, მისი თქმით, თავისუფალი დემოკრატები უბნებზე პროცედურების დასრულებამდე გაჩერდებიან და დაიცავენ ხმებს.

– ჩვენ უბნებზე ბოლომდე ვიქნებით და ხმებს დავიცავთ, თუმცა ამ ეტაპისთვის საფუძველი არ მაქვს, რომ რაიმე ტიპის აქციებზე ვისაუბრო, – განაცხადა კეკენაძემ.

# ნუკრი ქანთარია: „ნაციონალები მოქალაქეების დაზაფვრას კიდევ ერთხელ ეცადნენ“

მარიამ მჭედლიშვილი

„ახალი თაობა“ მაჟორიტარული არჩევნების მეორე ტურის მიმდინარეობისას ესაუბრა „ქართული ოცნების“ წარმომადგენელს, პარლამენტის უმრავლესობის წევრ ნუკრი ქანთარიას



## „არჩევნების შემდეგ პარტიები თავიანთ სტრატეგიას გადახედავენ“

***– გავრცელებული ინფორმაციით, „ქართულმა ოცნებამ“ დაავალა საბიუჯეტო ორგანიზაციების თანამშრომლებს, სპეციფიკური ფორმით შემოხაზონ კანდიდატები მეორე ტურში, რაც ნიშნავს, რომ ამომრჩეველზე ზეწოლა განხორციელდა.***

– ეს სიცრუეა. ეს დეზინფორმაცია მიზნად საზოგადოებაში დეზორგანიზაციის შეტანას ისახავს. ასეთ დავალებას არავინ იძლევა. მთავარია, ამომრჩეველმა ბიულეტენში ორი არჩევანი არ გააკეთოს და ამის გამო არ მოხდეს მისი გაბათილება.

***– ვინ გაავრცელა ეს დეზინფორმაცია?***

– ვინ გაავრცელებდა? მოწინააღმდეგე მხარემ. ნაციონალები ამითაც შეეცადნენ მოქალაქეების დაზაფვრას. პირველ ტურშიც ასე იყო და ახლაც, მეორე ტურის დროს ჩვენი ამოცანაა არჩევნების მშვიდ და თავისუფალ გარემოში ჩატარება. 30 ოქტომბერს კახეთში ვაკვირდები არჩევნებს, უბან-უბან დავდივარ და ყველგან სიმშვიდეა. 8 ოქტომბერმაც, ძირითადად, მშვიდად ჩაიარა, თუ არ ჩავთვლით თითო-ოროლა ექსცესს.

***– 8 ოქტომბრის შემდეგ ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ „ქართული ოცნება“ მოსალოდნელ გადატრიალებებსა და არეულობაზე ხმას აღარ იღებს. მათი თქმით, არჩევნების წინ ამ თემების წამოწევა და ნაცმოძრაობის დადანაშაულება წინასაარჩევნოდ დაგჭირდათ.***

– ხელისუფლებას, „ქართულ ოცნებას“ არაფერი გამოუგონებია. ნაცმოძრაობას ნამდვილად ჰქონდა ასეთი გეგმები. იყო ბაქიბუქი ოდესიდან, არსებობდა საუბრების ჩანაწერები. ნაციონალურ მოძრაობას ჰქონდა ასეთი გეგმები. ამიტომ გაკეთდა პრევენციული განცხადებები. ეს ყველაფერი წინასაარჩევნოდ მოხდა.

8 ოქტომბერს, ღამით, ნაციონალური მოძრაობა შეიკრიბა ცესკოს შენობასთან, თუმცა მალევე დაიშალა. ნაციონალები მიხვდნენ, რომ არაფერი გამოუვიდოდათ. მათ ხალხი არ აჰყვა. როგორც ჩანს, არჩევნების შემდეგ მათი გეგმები შეცვლილია. გადატრიალებისთვის მზადების ნიშანწყალიც არ ჩანს. ამიტომ აღარ ვსაუბრობთ ამ თემაზე. ნაცმოძრაობა არ ამბობს უარს ცალკეული პროვოკაციების მოწყობაზე, მაგრამ ფართომასშტაბიანი არეულობისათვის მზადება დღის წესრიგში აღარ არის.

***– მომავალი პარლამენტის კონფიგურაციაზე რას იტყვით?***

– ჩემი სურვილი იყო, ნაციონალურ მოძრაობას ბევრად ნაკლები მანდატი მიეღო ან სულ არ მოხვედრილიყო პარლამენტში. სასურველი იქნებოდა, ნაცმოძრაობის მანდატები სხვა პარტიებს გადაენაწილებინათ. სამწუხაროა, რომ ეს არ მოხდა. არჩევანი ამომრჩეველმა გააკეთა.

***– მესამე ძალად წარმოდგენილი იქნება პატრიოტთა ალიანსი, სხვებმა კი ბარიერი ვერ გადალახეს.***

– როგორც ჩანს, პატრიოტთა ალიანსმა ამომრჩევლის გარკვეული სეგმენტი მიიმხრო. ამ ბლოკის მიერ წარმართული საარჩევნო კამპანია აქტიური და რადიკალური იყო. სხვა ძალებმა ამომრჩევლის დაინტერესება ვერ შეძლეს.

***– თქვენი აზრით, დავით უსუფაშვილის წასვლა რესპუბლიკური პარტიიდან არჩევნების შედეგებს უკავშირდება?***

– ალბათ. ეს მისი პიროვნული გადაწყვეტილებაა. ამგვარი რამ მოხდა თავისუფალ დემოკრატებშიც. დრო იცვლება. პოლიტიკური ძალებიც, ალბათ, შეიტანენ ცვლილებებს თავიანთ საქმიანობაში. ბევრი გადახედავს თავის საარჩევნო სტრატეგიას.

# „დავით უსუფაშვილს დიდი გეგმები აქვს და მარტივად არ დახურდავდება“

შორენა მარსაგიშვილი



რატომ დატოვა დავით უსუფაშვილმა რესპუბლიკელები, შექმნის თუ არა ახალ პარტიას, რატომ გარბიან პოლიტიკოსები პოლიტიკიდან, რა საფრთხე შეუქმნა საკუთარ თავს „ქართულმა ოცნებამ“? – ამ თემებზე „ახალ თაობას“ ექსპერტი გია ხუხაშვილი ესაუბრება.

***– პარტიებიდან ლიდერების წასვლის პროცესი წინა კვირასაც გაგრძელდა. 28 ოქტომბერს მიშა მაჭავარიანმა აიღო პოლიტიკური ტაიმაუტი, 29 ოქტომბერს კი დავით უსუფაშვილმა დატოვა რესპუბლიკური პარტია. რასთან გვაქვს საქმე?***

– მაჭავარიანის ამბავი საერთოდ არ არის საინტერესო. რაც შეეხება დავით უსუფაშვილს, მისი გადაწყვეტილება კანონზომიერი და ლოგიკურია. რესპუბლიკური პარტია ელექტორალური თვალსაზრისით უპერსპექტივო ძალაა, რასაც მისი არსებობის ისტორიაც ადასტურებს. უსუფაშვილის პოლიტიკური წონა ბევრად აღემატება რესპუბლიკური პარტიის წონას. ის საჭიროა ქართული პოლიტიკისთვის. ამ დიაპაზონს მისი ყოფილი პარტია ძალიან უვიწროებდა და უპერსპექტივოს ხდიდა.

ჩემი აზრით, მან სწორი გადაწყვეტილება მიიღო, დამოუკიდებლად რომ გადაწყვიტა მოქმედება.

***– ამბობთ, ის საჭიროა ქართული პოლიტიკისთვისო და რესპუბლიკელებში დარჩენის შემთხვევაში აღარ იქნებოდა საჭირო?***

– რესპუბლიკური პარტია მისთვის იყო ღუზა, რომელიც წინ წაწევის საშუალებას არ აძლევდა. ამიტომაც დაიწყო მან ახალი პოლიტიკური სტარტი. ეს როგორც მისთვის, ასევე ქვეყნისთვისაც კარგია. მისი მსგავსი ფიგურა ბევრი არ გვყავს. ქართულ პოლიტიკაში ცოტაა ისეთი ხალხი, რომელსაც კომპეტენციაც აქვს და სახელმწიფოებრივად აზროვნების უნარიც. რა გზაც უნდა აირჩიოს, მე მას მხოლოდ წარმატებას ვუსურვებ.

***– მის მომავალთან დაკავშირებით უამრავი ვერსია ვრცელდება. ზოგი ამბობს, რომ საგარეო საქმეთა მინისტრად წავა, ზოგი სხვა უწყებაში უწინასწარმეტყველებს მუშაობის დაწყებას. თავად ამბობს, რომ არცერთ სახელმწიფო სამსახურში არ წავა. თქვენი აზრით, საით წავა მისი გზა?***

– არა მგონია, რომ ის სახელმწიფო სამსახურში მუშაობას დათანხმდეს. ეს მისთვის პოლიტიკურად არ იქნება მომგებიანი. მე ვფიქრობ, მან უფრო გრძელი თამაში დაიწყო და ასე მარტივად არ დახურდავდება, პარტიიდან წამოსვლის სანაცვლოდ რომელიმე თანამდებობაზე წამოსკუპდეს.

ასეთი ადამიანები ქართულ პოლიტიკაში მრავლად არიან. ბოლო დღეებში ამის ბევრი მაგალითი ვიხილეთ. პარტიიდან წამოსვლის სანაცვლოდ თანამდებობის მიღება ძალიან იაფფასიანია.

***– უსუფაშვილისნაირი ფიგურები ბევრი არ გვყავსო და თუ რაიმე თანამდებობას დათანხმდება, ქვეყნისთვის ხომ კარგი იქნება?***

– ქვეყნისთვის კარგი იქნება, მაგრამ მისთვის – არა. უსუფაშვილი საკმაოდ ჭკვიანი ადამიანია და ასეთ შეცდომას არ დაუშვებს. მან, როგორც უკვე გითხარით, საკმაოდ გრძელი თამაში წამოიწყო.

***– ახალ პარტიას ხომ არ შექმნის?***

– ჯერ ამაზე საუბარი ნაადრევია, რაღაცას აუცილებლად გააკეთებს.

***– მაჭავარიანის წასვლაზე თქვით, ეს საინტერესო არ არისო და რატომ არ მიგაჩნიათ საინტერესოდ, ის ხომ ნაცმოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი იყო?***

– გარდა იმისა, რომ მისი ამბავი ჩემთვის საინტერესო არ არის, ბევრის არაფრის თქმა არ შემიძლია მის გადაწყვეტილებაზე. არ ვიცი, რატომ გადაწყვიტა ტაიმაუტის აღება და არც ისაა ცნობილი, რა ტენდენციებთან გვაქვს ამ შემთხვევაში საქმე.

არ გამოვრიცხავ, რომ მაჭავარიანი დაიღალა. ის უფრო ძალაუფლების კუთხით უყურებს ყველაფერს, იმასაც კარგად ხედავს, თუ რა პროცესები ვითარდება საკუთრივ ნაციონალურ მოძრაობაში. უსუფაშვილისგან განსხვავებით, ის არასდროს ყოფილა ისეთი საკვანძო ფიგურა, რომ მის წასვლა-მოსვლას რაიმე მნიშვნელობა ჰქონდეს პოლიტიკური პროცესისთვის.

***– არჩევნების შემდეგ ჩვენთან ხშირად წასულან პოლიტიკიდან, მაგრამ წელს ეს პროცესი ძალიან გააქტიურდა. თქვენ ამას რას უკავშირებთ?***

– მასობრივი წასვლა „ქართული ოცნების“ „დამსახურებაა“. ნაცვლად იმისა, რომ დანაპირები შეესრულებინათ და ნაცმოძრაობა თამაშიდან გაეყვანათ, მთლიანად მოუსუფთავეს პოლიტიკური ველი, გრძელვადიან პერსპექტივაში თავიანთ ერთადერთ ალტერნატივად ნაციონალური მოძრაობა დანიშნეს.

ახლა ხომ ყველასთვის ნათელია, რომ სისხლიან 9 წელიწადზე საუბარი და ხელისუფლების აგრესიული პოლიტიკა მიმართული იყო არა ნაცმოძრაობის, არამედ მესამე არჩევანის წინააღმდეგ, რითაც „ქართულმა ოცნებამ“, ფაქტობრივად, მესამე არჩევანი გაანადგურა. აი, ამას მოჰყვა პარტიებიდან ლიდერების წასვლა, რითაც ისევ და ისევ ნაცმოძრაობას შეუქმნეს კომფორტი პოზიციების გასამყარებლად.

## გია ხუხაშვილი: „ქართულმა ოცნებამ“ ნაციონალები მთავარ ოპოზიციად დანიშნა“

ახლა პოლიტიკურ მოზაიკას რომ გადავხედოთ, ყველა პარტია დანგრეულია, ყოფილი ხელისუფლება კი დემოკრატიის გარანტად და „ოცნების“ ერთადერთ ალტერნატივად მოგვევლინა. ეს არაფრით შეესაბამება იმ სურვილებსა და მიზნებს, რომლებზედაც მუდმივად აპელირებდა ხელისუფლება.

***– ამის გამო ხელისუფლება მხარდამჭერებს არ დაკარგავს?***

– რა თქმა უნდა, დაკარგავს. მას ძალიან ბევრი ადამიანი მხოლოდ იმიტომ უჭერდა მხარს, რომ სჯეროდათ, ნაციონალებს პოლიტიკური ველიდან გაიყვანდა. ნაციონალების წინააღმდეგ განწყობილ ელექტორატს უკმარისობის გრძნობა უკვე დღეს ჩამოუყალიბდა, იმედგაცრუებაც სახეზეა.

***– ელექტორატის იმედგაცრუება თავს როდისთვის იჩენს, მომავალი წლის თვითმმართველობის არჩევნებისთვის თუ უფრო გვიან?***

– ჩემი აზრით, ეს რამდენიმე თვეში იჩენს თავს. ნაციონალების ამბავი არ არის ერთადერთი პრობლემა, რომელიც დღეს „ქართულ ოცნებას“ აქვს. სამწუხაროდ, ისინი ძალაუფლებით ტკბებიან და ბევრი რამ შეუმჩნეველი რჩებათ.

მათ კარგად უნდა ახსოვდეთ სოციალურ-ეკონომიკური მიმართულების სეგმენტი. ამ ხალხს აქვს მოლოდინი, რომ უახლოეს მომავალში ქვეყანა აგუგუნდება, როგორც ამას პრემიერ-მინისტრი გვპირდებოდა. ქვეყნის აგუგუნება ასე მარტივად ვერ მოხდება და ამ სეგმენტსაც გარკვეული იმედგაცრუების პერიოდი დაუდგება. იმედგაცრუება თავს 6 თვიდან 1 წლის დიაპაზონში იჩენს თავს.

„ქართულ ოცნებას“ კარგად უნდა ჰქონდეს გაცნობიერებული, რომ აბსოლუტურ ძალაუფლებას აბსოლუტური პასუხისმგებლობა მოსდევს, შეუსრულებელ დაპირებებსაც ველარ გადააბრალებენ სხვებს. შესაბამისად, წინ მინიკრიზისები გველოდება, მათ შორის, სოციალური ხასიათის, რაც ამ ქვეყნისთვის დამახასიათებელი არ ყოფილა.

მთავარ ოპოზიციურ ძალად დანიშნული ნაციონალური მოძრაობა ყველაფერს გააკეთებს იმისთვის, რომ ცეცხლზე ნავთი დაასხას. მან ამის გასაკეთებლად ყველა ინსტრუმენტი შეინარჩუნა. „ქართული ოცნების“ ერთადერთი არგუმენტი სისხლიან 9 წელიწადზე უკვე ფარსად იქცა.

„ქართულ ოცნებას“ უახლოესი პერიოდი თაფლობის თვე ექნება, სადღაც 6 თვის შემდეგ სირთულეები დაიწყება.

***– თქვენ ფიქრობთ, რომ „ქართული ოცნება“ დაპირებების შესრულებას ვერ შეძლებს?***

– ძალიან მინდა, რომ შეძლოს, მაგრამ მეეჭვება, შენარჩუნდეს ის პოზიტიური აურა, რომელსაც დღეს გიორგი კვირიკაშვილი ასხივებს. ეს ადამიანი მართლაც პოზიტიურად გამოიყურება. ერთია, როცა ვიღაც პოზიტიურად გამოიყურება, მაგრამ მეორეა შენი მაცივარი, სადაც რაღაც გაჩნდება ან არ გაჩნდება. ცარიელი პოზიტივის გამოსხივებაც მობეზრდებათ ადამიანებს. ძალიან მინდა, ვცდებოდე, მაგრამ ყველა გზა კრიზისისკენ მიდის.



**ახლა ხომ ყველასთვის ნათელია, რომ სისხლიან 9 წელიწადზე საუბარი და ხელისუფლების აგრესიული პოლიტიკა მიმართული იყო არა ნაცმოძრაობის, არამედ მესამე არჩევანის წინააღმდეგ, რითაც „ქართულმა ოცნებამ“, ფაქტობრივად, მესამე არჩევანი გაანადგურა. აი, ამას მოჰყვა პარტიებიდან ლიდერების წასვლა, რითაც ისევ და ისევ ნაცმოძრაობას შეუქმნეს კომფორტი პოზიციების გასამყარებლად**

დღევანდელი ხელისუფლების ნდობის კრედიტი დიდი არ არის. მას ამომრჩევლის მხოლოდ 25%-მა მისცა ხმა. 25%-ის მხარდაჭერით მათ აბსოლუტური ძალაუფლება მიიღეს. შესაბამისად, ლეგიტიმაცია არის ძალიან დაბალი. ეს დაბალი ლეგიტიმაცია „ოცნებას“ იმის ფუფუნებას არ აძლევს, რომ რადიკალური და არაპოპულარული რეფორმები გაატაროს. არადა, ეს რეფორმები ქვეყანას სჭირდება.

***– თუ რეფორმები ქვეყანას სჭირდება, რატომ არ უნდა გაატარონ?***

– ასეთი აგრესიული რეფორმების გატარების შემთხვევაში, მას დღეს-ხვალ პრობლემები გაუჩნდება. როდესაც მაღალი ნდობა არ გაქვს, ბუნებრივია, ეს პრობლემები ხელისუფლებას საფრთხეს შეუქმნის.

გამოსავალი არც რეფორმების გატარებაზე უარის თქმაშია. უკმაყოფილება ასეთ შემთხვევაშიც გაჩნდება. განაწყენდება ის ხალხი, რომელიც ცვლილებების მოლოდინშია. ასეთ არასახარბიელო სიტუაციაშია დღეს ხელისუფლება. მისთვის ყველა გზა სარისკოა.

# რესპუბლიკელები კიდევ რამდენიმე წევრმა დატოვა. ხიდაშელისა და ხმალაძის გადაწყვეტილება უცნობია

დავით უსუფაშვილის კვალდაკვალ რესპუბლიკური პარტია კიდევ მისმა რამდენიმე წევრმა დატოვა. მათ შორის არიან პარლამენტის წევრი ფრიდონ საყვარელიძე და საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილე თენგიზ შერგელაშვილი.




ფრიდონ საყვარელიძის თქმით, პარტიიდან მისი წასვლა დავით უსუფაშვილის წასვლას არ უკავშირდება და მან პარტიის დატოვების გადაწყვეტილება გაცილებით ადრე მიიღო. რესპუბლიკური პარტიის ყოფილი წევრი არც წასვლის მიზეზებზე საუბრობს.

საყვარელიძისგან განსხვავებით, პარტიის წევრებს შორის წინააღმდეგობების არსებობის ფაქტს ადასტურებს თენგიზ შერგელაშვილი.

მისი თქმით, წამოსვლის მიზეზი გახდა ის, რომ რესპუბლიკური პარტიის პრიორიტეტები, სამომავლო გეგმები და განცხადებები მის პოზიციასა და მოსაზრებებს არ შეესაბამებოდა.

– არსებობდა გარკვეული წინააღმდეგობები, ერთი მხრივ, იმ მიდგომაზე, რომ დაბალანსებული უნდა ყოფილიყო პოლიტიკა, უფრო მეტად პოზიტივზე ორიენტირებული – ამ პოზიციის გამტარებლად დავით უსუფაშვილი მოიაზრებოდა. მეორე პოზიცია უფრო სხვა რამეს გულისხმობდა. მე ვფიქრობ, რომ მეორე მხარის პოზიცია დღეს მოცემულ პოლიტიკურ ლანდშაფტს არ შეესაბამებოდა და არ იყო ადეკვატური, უფრო ზუსტად, ვგულისხმობ ტაქტიკას, ოპონირების ტონალობასა და ა.შ. – განაცხადა თენგიზ შერგელაშვილმა.

როგორც აღმოჩნდა, რესპუბლიკური პარტია უკვე რამდენიმე თვის დატოვებული აქვს პაატა ზაქარეიშვილს. მან პარტიის დატოვების მიზეზები განმარტა და აღნიშნა, რომ პოლიტიკური გაერთიანების მიერ აღებულმა კურსმა პარტია მარცხამდე მიიყვანა.

– რესპუბლიკურ პარტიაში არის შიდა დემოკრატია. ჩემი პოზიცია პარტიის კურსთან დაკავშირებით უმცირესობაში აღმოჩნდა. თავდაპირველად ჩავთვალე, რომ ისინი იყვნენ მართალი, თუმცა, სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, აღმოჩნდა, რომ მე ვყოფილვარ მართალი.

მათმა პოზიციამ პარტია მარცხამდე კი არა, კრახამდე მიიყვანა. მე არ მეყო მეტი მოთმინება და მონდომება, შეიძლება გავლენაც, რომ ჩემი გამეტანა, ვერ დავაჯერე სხვები და ვერ ვაქციე ჩემი პოზიცია უმრავლესობის პოზიციად. ვინც დარჩა პარტიაში, ძალიან ძვირფასი მეგობრები არიან ჩემთვის და წარმატებას ვუსურვებ, – განაცხადა პაატა ზაქარეიშვილმა.

აღნიშნული წევრების მიერ რესპუბლიკური პარტიის დატოვებას ადასტურებს პარტიის თავმჯდომარე. როგორც ხათუნა სამნიძე აცხადებს, ის ვერ დაადასტურებს, დატოვეს თუ არა პარტია ვახტანგ ხმალაძემ და თინათინ ხიდაშელმა, ვინაიდან ოფიციალური განცხადებები მათგან არ მიუღია.

**ნიუპოსტი**

**სამკურნალო-სარეაბილიტაციო მასაჟი**

სერტიფიცირებული და სტაჟიანი მასაჟისტი გთავაზობთ სამკურნალო და გამაჯანსაღებელ მასაჟს. ოსტეოქონდროზის, ძვალსახსროვანი დაავადებების, ნევრიტების, პოსტტრავმულისარეაბილიტაციო, მყესის დაჭიმულობის, კუნთის გათიშვის და ინსულტის შემდგომი პერიოდის მასაჟს. ჩვილ ბავშვთა და მოზარდთა მასაჟს: ბრტყელი ტერფი, დისპლაზია, ხერხემლის დეფორმაციები, პარეზი, კისერმრუდობა, რაქიტული და სიმაღლეში ზრდის სპეციალურ მასაჟს ვარჯიშებთან ერთად. აგრეთვე კოსმეტიკურ, გასახდომ და ცელულიტის დამშლელ მასაჟს თაფლით და ვაკუუმით. საუკეთესო შედეგებით.

☎ 555-02-32-08. ქალბატონი ფიქრია

# „მხატვრობა რომ ბიზნესად აქციო, ზოგჯერ სახელოსნოს გარეთაც უნდა გამოხვიდე“



ახალგაზრდა ქართველი მხატვარი ირაკლი ჩიქოვანი ნამუშევრებს საკუთარ გალერეაში ქმნის და იქვე ყიდის.

ამბობს, რომ ხატვა ბავშვობიდან დაიწყო. მე-7 კლასში იყო, როცა სამხატვრო სკოლაში ჩააბარა, შემდეგ – იაკობ ნიკოლაძის სახელობის კოლეჯში და უკვე მერე სამხატვრო აკადემიის სტუდენტი გახდა. მას შემდეგ ის ხატავს, მუშაობს და თანაც მრავალ გამოფენაში იღებს მონაწილეობას.

ირაკლი ჩიქოვანმა საკუთარი საქმიანობისა და ისტორიის შესახებ „კომერსანტის“ გადაცემა „არტ-ბიზნესში“ ისაუბრა.

***– თქვენი სახელოსნო სად მდებარეობს და, საერთოდ, სად ყიდით ნახატებს?***

– ჩვენ სამი მხატვარი მეგობარი გავერთიანდით და ღია სახელოსნო გავხსენით ძველ თბილისში, აბო თბილელის 1 ნომერში. აქ ჩვენ ვხატავთ და პარალელურად, ვიღებთ დამთვალიერებლებს. დაინტერესებულებს აქვე შეუძლიათ ნამუშევრების შეძენა და ასევე თვალყურის დევნება, თუ როგორ იქმნება ნახატები. განსაკუთრებით ხშირად გვსტუმრობენ უცხოელები, რომლებიც ამბობენ, რომ ასეთი რამ არ უნახავთ. მათთვის უცხო არ არის მუზეუმები, გალერეები. პირადად მე ეს გალერეები უკვე მკვდარი მეჩვენება, იქ მხოლოდ ნახატებია გამოფენილი და მიდის ვაჭრობა. ჩემს სახელოსნოში კი რომ შემოდიან, შესაძლოა, საერთოდ არ შეიძინონ ნამუშევარი, მაგრამ ნახონ, როგორ ვმუშაობთ.

***– რა ღირს თქვენთან ნახატები? რამდენად მოთხოვნადია ქართველი მომხმარებლების მხრიდან და ყიდულობენ თუ არა ნახატებს უცხოელებიც?***

– ამ ბოლო პერიოდში ნამუშევრების ყიდვა დაიწყეს ქართველმა ახალგაზრდებმა, რომლებიც ფეისბუქის გვერდზე ნახულობენ ჩვენს ნამუშევრებს და შემდეგ მოდიან ჩვენთან. ნახატები არ არის ძალიან ძვირი, რადგან ჩვენი ნამუშევრებია და შეგვიძლია ფასის დარეგულირება. მომხმარებელს ურჩევნია, აქ მოვიდეს და შეიძინოს, ვიდრე მივიდეს გალერეაში, რადგან იქ ზემოდან თანხა უნდა დაამატონ – საგადასახადო და ა.შ.

***– რამდენად აქტიურად ხართ ჩართული არტ-ხელოვნების პოპულარიზაციაში და რამდენად ხშირად აწყობთ გამოფენებს, ამ მხრივ თუ არიან ახალგაზრდები აქტიურები?***

– გამოფენებში ხშირად ვმონაწილეობთ, წელიწადში ორჯერ ან ერთხელ აუცილებლად ვაკეთებ პერსონალურ გამოფენასაც, რათა დავაფიქსირო წინსვლა და სხვა კუთხით შევხედო საკუთარ ნამუშევრებს.

***– რა სჭირდება არტ-ს იმისთვის, რომ იქცეს შემოსავლიან ბიზნესად?***

– აქტიურობა არასდროს მაკლდა, ყველანაირი ხერხი მოვძებნე. ადამიანმა თავად უნდა მოძებნოს საუკეთესო ვარიანტი და მე მოვძებნე ის, რომ გამოვედი სახელოსნოს კედლებიდან და უშუალო ურთიერთობა დავამყარე ხალხთან. ვფიქრობ, ახალგაზრდა მხატვრებიც უნდა გამოვიდნენ გარეთ, სეზონურად მაინც, მაგალითად, ზაფხულში დადგნენ ქუჩაში, შეიკრიბონ ერთად და გამოფინონ ნახატები.

ეს უფრო კარგია, ვიდრე სახლში დახატო და ერთ ოთახში გედოს ნახატები. ასე იქცევიან და მერე ამბობენ, რომ ნახატებს ვერ ყიდიან. ჩაკეტილი ადამიანი ვერ ვითარდება. მხატვრობა რომ ბიზნესად აქციო, ზოგჯერ სახელოსნოს გარეთაც უნდა გამოხვიდე.

***– რას გეგმავთ მომავალში?***

– ახალი საიტის გაკეთებას ვაპირებ. ახლა საიტი თითქმის დასრულებულია, ესაა არტ.გე, სადაც დარეგისტრირდება ყველა მსურველი, ვინც რა სფეროში მოღვაწეობს, იქნება ეს კერამიკა, ნახატები, თექა, მინანქარი თუ სხვა.

მათ შეეძლებათ, უფასოდ განათავსონ ნახატები და ნამუშევრები საიტზე და თან გაყიდონ. ჩვენ გვსურს, რომ ასევე უცხოელებს შევთავაზოთ ჩვენს მიერ შექმნილი ხელოვნების ნიმუშები და სურვილის შემთხვევაში აქედანვე გავუგზავნოთ.

**კომერსანტ.გე**

# აჭარას 9 თვეში 1.132.250 მოგზაური სტუმრობდა

**აცივებასთან ერთად, საქართველოს ზღვისპირეთში საკურორტო სეზონი საბოლოოდ დასრულდა და ტურისტული სფეროს წლევანდელი შედეგების შეჯამების დროც დადგა.**

**სტატისტიკური მონაცემებით, აჭარას 9 თვის განმავლობაში 1.132.250 საერთაშორისო მოგზაური სტუმრობდა.**

ეს ციფრი მხოლოდ აჭარაში რეგისტრირებული სასტუმროების მონაცემებს ეყრდნობა, თუმცა წლის ბოლოს ასევე გვეცოდინება, თუ რამდენი ტურისტი დარჩა არარეგისტრირებულ სექტორშიც.

რაც შეეხება საზღვრის კვეთის მონაცემებს, აჭარამ 9 თვის განმავლობაში 1.132.250 საერთაშორისო მოგზაური მიიღო. აქედან მხოლოდ საჰაერო გზით რეგიონში შემოსულია 114.169 საერთაშორისო მოგზაური, რაც 76,55%-იან მატებას გულისხმობს.

მიმდინარე წელი გამორჩეული იყო რეგიონში საერთაშორისო ფრენების უპრეცედენტო რაოდენობითაც. ბათუმის საერთაშორისო აეროპორტში მხოლოდ ივლისში 300-ზე მეტი ავიარეისი შესრულდა 22 მიმართულებით.

ხელისუფლება ამ ფაქტს მნიშვნელოვან სარეკლამო კამპანიას უკავშირებს, რაც, ცხადია, არ არის ერთადერთი ფაქტორი ტურისტების მოზიდვის საქმეში. ექსპერტები ვარაუდობენ, რომ ზღვისპირეთის სტუმართა რაოდენობის ზრდაზე ასახვა თურქეთის ტურისტული სეზონის პრობლემებმაც განაპირობა.



უცხოელი ტურისტების რაოდენობისა და ასევე ჩამოსული ვიზიტორების მხრიდან ხარჯების შემცირების გამო, თურქეთის ტურისტულმა სფერომ 2016 წელს 15 მლრდ დოლარი იზარალა. სავარაუდოდ, წლის ბოლოსთვის თურქეთში ჩამომსვლელთა შემცირების საბოლოო მაჩვენებელი 9,5 მლნ-ს მიაღწევს. გარდა ამისა, იმ ტურისტებმა, რომლებიც ჩადიან თურქეთში, 2015 წელთან შედარებით, 15-25%-ით შეამცირეს ხარჯები. დღეისთვის ერთი უცხოელი ტურისტი თურქეთში, საშუალოდ, 700-800 დოლარს ხარჯავს, რაც ვაჭრობაზე ნეგატიურად აისახება.

თურქეთის სასტუმროების ასოციაციის პრეზიდენტმა ტიმურ ბაინდირმა განაცხადა, რომ სტამბოლის სასტუმროების დატვირთვა, 2016 წლის 9 თვის მონაცემებით, 30%-ით შემცირდა.

– უსაფრთხოებასთან არსებული პრობლემებიდან გამომდინარე, განსაკუთრებით შემცირდა ევროპელი ტურისტების რაოდენობა, – აღნიშნავს ბაინდირი.

ოქტომბრის დასაწყისში ექსპერტებმა ივარაუდეს, რომ წლის ბოლოსთვის, ტურისტების რიცხვის შემცირების გამო, თურქეთი დაკარგავს 3 მლრდ ევროს.

ცხადია, ეს მონაცემები პირდაპირ არ აისახება საქართველოზე, თუმცა გარკვეულ ზეგავლენას ტურისტულ ბაზარზე ახდენს. ამასთან ერთად, საგულისხმოა ასევე საერთაშორისო იაფი ფრენების რეისების დამატება, რაც განსაკუთრებით დიდი მოცულობით 23 სექტემბრიდან განხორციელდა ქუთაისის მიმართულებით და რის შედეგებსაც უკვე მომავალი წლისთვის ელიან.

ერთი რამ ფაქტია – ტურისტული სეზონი ამ ეტაპზე დასრულებულია და ამან ასახვა, ნაწილობრივ, ლარის კურსზეც ჰპოვა. რამდენად შეძლებს ტურიზმი, შემოდგომასა და ზამთარშიც შეასრულოს სავალუტო ბაზარზე უცხოური ვალუტის მიმწოდებლის მნიშვნელოვანი ფუნქცია, ამას მომავალი გვიჩვენებს.

**რადიო თავისუფლება**

# ოზურგეთში „ზარას“ სამკერვალო ფაბრიკის აშენება იგეგმება

თურქული კომპანია „ენა ტექსტაილი“ გურიაში რამდენიმე მილიონი დოლარის ღირებულების ინვესტიციას განახორციელებს.

ამ საკითხთან დაკავშირებით გურიის გუბერნატორი გია სალუქვაძე, ქალაქ ოზურგეთის მერ ბეგლარ სიორიძესთან ერთად, კომპანიის წარმომადგენელ სეჩიმ სარანდის შეხვდა.

კომპანიის ძირითად საქმიანობას „ზარას“ ტანსაცმლის წარმოება წარმოადგენს და სწორედ აღნიშნული ბრენდის სამოსის ფაბრიკის აშენება იგეგმება ქალაქ ოზურგეთში.

პროექტის განხორციელების შედეგად საწარმო 1.000-მდე ადგილობრივ მცხოვრებს დაასაქმებს.

„ზარა“ მსოფლიოში ცნობილი ესპანური ბრენდია, რომელსაც მთელი მსოფლიოს მასშტაბით 2.000-მდე მაღაზია აქვს, წლის განმავლობაში კი კომპანიაში იქმნება 10.000- ზე მეტი ახალი მოდელი.

– გურიის რეგიონში ინვესტიციების განხორციელებისთვის ყველანაირი პირობა არსებობს. მსგავსი სახის პროექტები რეგიონის ეკონომიკურ მდგომარეობას მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს. ქალაქ ოზურგეთში არსებული ფართების შესწავლის შემდეგ მოლაპარაკება შემდეგ ეტაპზე გადავა. ჩვენ კომპანიას პროექტის წარმატებით განხორციელების საქმეში სრულ მხარდაჭერას ვუცხადებთ, – განაცხადა გია სალუქვაძემ.

შეხვედრის დასრულების შემდეგ სტუმრებმა ქალაქში არსებული საპრივატიზაციო ობიექტები დაათვალიერეს და პროფესიული კოლეჯი „ჰორიზონტი“ მოინახულეს, სადაც საწარმოში დასასაქმებელი მუშახელი გადამზადდება.

**ნიუპოსტი**

# ელექტროველოსიპედების ახალ მოდელებს შემოყვანენ

თბილისში ელექტროველოსიპედების პოპულარობა იზრდება.

კომპანია იბაიკ.გე-ს წარმომადგენელი გიორგი ბუჩუკური რადიო „კომერსანტთან“ აცხადებს, რომ სეზონის განმავლობაში კომპანიამ 30 ელექტროველოსიპედის რეალიზაცია მოახდინა, რაც საკმაოდ კარგი მაჩვენებელია.



მისივე თქმით, გაყიდვების 50% უცხოელებზე მოდის, რომლებიც უარს ამბობენ ავტომობილებზე და ველოსიპედით მგზავრობას არჩევენ.

გიორგი ბუჩუკური ამბობს, რომ შემოდგომა-ზამთარი არ არის სეზონი ელექტროველოსიპედებისთვის, ამიტომ ამ პერიოდში ხდება შეკვეთების მიღება და ახალი წლიდან ახალი პარტიის შემოყვანაა დაგეგმილი.

ველოსიპედები ჩინეთიდან შემოჰყავთ.

ელექტროფუნქციით ველოსიპედს 45 კილომეტრის გავლა შეუძლია, შემდეგ კი მისი დატენა უნდა მოხდეს.

**სალომე სოსელია, კომერსანტ.გე**

# ბოლნისური „ყველის ქოხი“ ექსპორტზე გასვლას აპირებს

ბოლნისური „ყველის ქოხი“ ერთ წელიწადში ექსპორტზე გასვლას გეგმავს.

ამის შესახებ ბიზნესპრესნიუსს საწარმოს მენეჯერი ნინო მეგრელიშვილი ესაუბრა და აღნიშნა, რომ სამომავლოდ წარმოების ზრდაზეც ფიქრობენ.

ამ დროისთვის საწარმო, რომელიც ბოლნისის მუნიციპალიტეტის სოფელ რატევანში მდებარეობს, მხოლოდ სულგუნს, იმერულ და შებოლილ ყველს აწარმოებს, პროდუქციის რეალიზაცია კი ადგილობრივ ბაზარზე, დიდ სავაჭრო ქსელებში (გუდვილი, სმარტი და ა.შ.) ხდება.

– სამომავლოდ წარმოების გაზრდასა და უფრო ფართო ბაზარზე გასვლას ვგეგმავთ. უახლოეს პერიოდში ზოგადად რძის პროდუქტების (მაწონი, ნადუღი, კარაქი, ხაჭო და ა.შ.) გამოშვებასაც დავიწყებთ, დაახლოებით ერთი წლის განმავლობაში კი საექსპორტო ბაზარზე გასვლაც გვინდა, – აღნიშნა ნინო მეგრელიშვილმა.



მისივე ცნობით, საწარმოში, რომლის წარმადობა დღეში 5 ტონამდეა, 20-მდე ადამიანია დასაქმებული.

საწარმო რძეს, ძირითადად, დმანისსა და მარნეულში მცხოვრები ფერმერებისგან იბარებს. ამ ეტაპზე 1 ლიტრ რძეს საწარმო 1 ლარად ყიდულობს. ზამთარში ფასი, შესაძლოა, 1.20-1.30 ლარამდე გაიზარდოს.

საწარმო რატევანში 2012 წლიდან მოქმედებს და ამ ხნის განმავლობაში ინვესტიციის სახით მან დაახლოებით 500 ათასი ლარი განახორციელა.

**ბიპიენი**

# სამტრედია-გრიგოლეთის მესამე მონაკვეთის მშენებლობა იწყება

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტი სამტრედია-გრიგოლეთის გზის მესამე მონაკვეთის მშენებლობას იწყებს.

მშენებლობისთვის საერთაშორისო ტენდერში მონაწილეობის მისაღებად მოწვევა უკვე გამოცხადდა.

სამტრედია-გრიგოლეთის გზის 12-კილომეტრიანი მონაკვეთის (ლოტი 3) მშენებლობას ევროპის საინვესტიციო ბანკი აფინანსებს.

პროექტი 4-ზოლიანი ასფალტ-ბეტონის გზის, 6 სახიდე გადასასვლელის, 2 სატრანსპორტო კვანძის, საქონლისა და საველე გასასვლელების მშენებლობას ითვალისწინებს. გზის აღნიშნული მონაკვეთი გურიის რეგიონში ქ. ლანჩხუთსა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფლებს გაივლის.

სამტრედია-გრიგოლეთის გზა სულ 52 კმ-იანი მონაკვეთისაგან შედგება. ის ზესტაფონი-ქუთაისის შემოვლითი-სამტრედიის გზის 42-ე კმ-ზე, მდ. ოჩოფასთან იწყება და გრიგოლეთის ტერიტორიაზე, მდინარე სუფსასთან მთავრდება. აღნიშნული გზის ჩქაროსნულ მაგისტრალად მოდერნიზების პროექტი 4 მონაკვეთად (ლოტად) ხორციელდება. პირველ, მეორე და მეოთხე მონაკვეთზე სამუშაოები უკვე მიმდინარეობს.

პროექტის მიზანია ქვეყნის მასშტაბით ყველაზე მაღალი ინტენსივობის საერთაშორისო მნიშვნელობის გზაზე მზარდი სატრანსპორტო ნაკადების გამტარუნარიანობის, ავტომობილების უსაფრთხო გადაადგილებისა და შეუფერხებელი სატრანზიტო მიმოსვლის უზრუნველყოფა.

აღნიშნული მონაკვეთი პრემიერ-მინისტრ გიორგი კვირიკაშვილის ინიციატივის, 4-პუნქტიანი გეგმის ერთ-ერთი მიმართულების – ქვეყნის სივრცითი განვითარების ნაწილია.

პროექტის განხორციელების ვადები 2016-2018 წლებია.

# ლია მუხაშავრია: „სამიდღემჩიო მოსამართლეობა აბსოლუტური დამოუკიდებლობისკენ გადადგმული ნაბიჯია“

## „მოსამართლეებს არასამართლიანი გადაწყვეტილების ტვირთი გაცნობიერებული უნდა ჰქონდეთ“

ნათია ხურცილავა

**იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ 12 მოსამართლე უვადოდ დანიშნა. მათ შორის არიან გახმაურებული საქმის მოსამართლეები. სამართლის ექსპერტი, ადვოკატი ლია მუხაშავრია „ახალ თაობასთან" ინტერვიუში აცხადებს, რომ მოსამართლეთა უვადოდ დანიშვნა წინ გადადგმული სერიოზული ნაბიჯია.**

***– ქალბატონო ლია, იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ 12 მოსამართლე სამწლიანი გამოსაცდელი ვადის შემდეგ უვადოდ დანიშნა. ძალიან დიდი ვნებათაღელვა იყო, უნდა დანიშნულიყვნენ თუ არა მოსამართლეები უვადოდ და უნდა ყოფილიყო თუ არა სამწლიანი გამოსაცდელი ვადა. როგორ შეაფასებთ ამ პროცესს?***

– მთელ მსოფლიოში მიჩნეულია, რომ მოსამართლის სამუდამოდ, სამიდღემჩიოდ გამწესება მოსამართლის თანამდებობაზე მის დამოუკიდებლობასა და მიუკერძოებლობას უზრუნველყოფს. სამიდღემჩიოდ მოსამართლის გამწესება უდავო გარემოება გახლავთ მისი დამოუკიდებლობის უზრუნველსაყოფად, მაგრამ სხვა საკითხია, როგორი პროცედურებითა და კრიტერიუმებით ხდება მოსამართლეთა გამწესება. გახსოვთ, რომ ჩვენთან დიდი დავა გამოიწვია გამოსაცდელმა სამწლიანმა ვადამ – ყოფილიყო თუ არ ყოფილიყო.

***– თქვენ ეთანხმებით გამოსაცდელ ვადას?***

– დიახ, გამოსაცდელი ვადა გამართლებულია საქართველოს ტიპის ქვეყნისთვის, რომელსაც, სამწუხაროდ, არ აქვს მაღალი სამართლებრივი კულტურა, მართლმსაჯულების მაღალი ნდობა საზოგადოების მხრიდან და ა.შ. სხვა გარემოებებიც არის, ამიტომ, როდესაც დღეს სასამართლო სისტემა მეტ-ნაკლებად გათავისუფლდა პოლიტიკური წნეხისგან, იმედი ვიქონიოთ, რომ ახალი პარლამენტისა და ახალი ხელისუფლების პირობებში ეს მდგომარეობა შენარჩუნდება ან გაუმჯობესდება. ამ შემთხვევაში დადებითად უნდა შეფასდეს მოსამართლეთა სამიდღემჩიო გამწესება მოსამართლის პოზიციაზე.



**იუსტიციის უმაღლესი საბჭო საზოგადოების მაღალი ნდობის მქონე წევრებისგან რომ შედგებოდეს, ეს მოსამართლეთა ნდობას უფრო გააძლიერებდა**

***– თქვენ მთელ ამ პროცესში სად გაქვთ კითხვის ნიშნები?***

– მე ვისურვებდი, რომ მოსამართლეთა უვადოდ გამწესების პროცესი უფრო გამჭვირვალე იყოს, მოსამართლეთა გამოსაცდელი ვადის შეფასების კრიტერიუმები იყოს უფრო დაკონკრეტებული და უფრო მკაფიო, მე ვიტყოდი, უფრო საჯარო და გასაგები საზოგადოებისთვის, რადგან ჩვენ ამ ადამიანებს ვაძლევთ უფლებას, სამიდღემჩიოდ განგვსაჯონ. ამიტომ ჩვენ უნდა ვიცოდეთ, რამდენად არის სრულყოფილი მათი შერჩევისა და დანიშვნის პროცედურა.

***– ქალბატონო ლია, რას იტყვით იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიმართ, რომლის ფუნქციაც მოსამართლეთა უვადოდ დანიშვნაა?***

– იუსტიციის უმაღლესი საბჭო, თავისი კომპოზიციის გამო, სამწუხაროდ, არ იმსახურებს საზოგადოების ნდობას. იუსტიციის უმაღლესი საბჭო რომ შედგებოდეს საზოგადოების მაღალი ნდობის მქონე წევრებისგან, ეს მოსამართლეთა ნდობას უფრო გააძლიერებდა. თუმცა, პირველ რიგში, უნდა მივულოცოთ ამ მოსამართლეებს, რომლებიც სამიდღემჩიოდ გამწესდნენ მოსამართლის თანამდებობაზე, რადგან ჭეშმარიტი მართლმსაჯულების სამსახურში ყოფნა, დიდ პასუხისმგებლობასთან ერთად, დიდი პატივი და ღირსებაც არის.

ზოგადად, მოსამართლისა და მართლმსაჯულების ფუნქცია სახელმწიფოში განუზომლად დიდია, მეტისმეტად მნიშვნელოვანია. მინდა, იმედი მქონდეს, რომ ამ 12 მოსამართლეს ბოლომდე ექნება გაცნობიერებული ყოველივე ეს და ამას ისინი თავიანთ გადაწყვეტილებებში ასახავენ. სხვაგვარად ჩვენ ცივილიზებული სამყაროს ნაწილი ვერ გავხდებით.

***– რამდენიმე გახმაურებული საქმის მოსამართლე, მაგალითად, ნატალია ნაზღაიძე, გერმანე დადეშქელიანი, უვადოდ იქნენ გამწესებულნი. კონკრეტულად მათ მიმართ უნდა ჰქონოდათ კითხვები იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრებს? შესაძლებელია, რომ მოსამართლე, სწორედ გახმაურებული საქმეებიდან გამომდინარე, საზოგადოების დაკვირვებისა და განსჯის ობიექტი აღმოჩნდეს?***

– დიახ, რასაკვირველია, შესაძლებელია, აღმოჩნდეს, მაგრამ, როდესაც მოსამართლე გახმაურებულ საქმეზე საყოველთაო საზოგადოებრივი აზრის საწინააღმდეგო გადაწყვეტილებას გამოიტანს, ეს გადაწყვეტილება ძალიან კარგად, მაღალ დონეზე უნდა იყოს დასაბუთებული. იმდენად კარგად და დამაჯერებლად უნდა იყოს ყველა მტკიცებულება, ყველა არგუმენტი, ყველა დასკვნა გამოყვანილი, რომ არათუ იურისტთა საზოგადოებაში, არამედ რიგითი მოქალაქის აზრის შეცვლა მოახდინოს, თუ ის მოსამართლის გადაწყვეტილებას წაიკითხავს.

სამწუხაროდ, ჩვენი სასამართლოს გადაწყვეტილებები ასეთი სტანდარტისგან ძალიან შორს არის. როდესაც მოსამართლე გახმაურებულ საქმეზე საზოგადოებისთვის მიუღებელ გადაწყვეტილებას იღებს, მას არ უჩნდება სურვილი, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს დასაბუთების ნაწილს, სურვილი არ აქვს, საჯარო აზრი, რომელიც არსებობს ამ გახმაურებულ საქმეზე, შეცვალოს, დაანახოს საზოგადოებას, თუ სად დგას სიმართლე.

მოსამართლის გამოხატვის საუკეთესო შესაძლებლობა მისსივე გადაწყვეტილებაა, რომელიც ისე კარგად უნდა იყოს დასაბუთებული, რომ არავის სიტყვა არ წაუცდეს. თუკი მოსამართლე მიუღებელია, მხარეებს ეძლევათ შესაძლებლობა, მოსამართლის აცილების საკითხი დააყენონ. თუ მოსამართლეს მხარე არ ენდობა, ასეთ სასამართლოს აზრი ეკარგება, რადგან სასამართლოს არსი არის ის, რომ ორი მოდავე მხარე მივიდეს მესამე, მიუკერძოებელ მხარესთან, რომელიც მათ დავას სამართლიანად გადაწყვეტს.

***– და თუ არ დაკმაყოფილდა?***

– ეს არის სავალალო, რომ ამ მოსამართლეებს კარგად არ აქვთ გაცნობიერებული ამ გადაწყვეტილებათა ტვირთი, რომელიც მათ მთელი ცხოვრება უნდა ატარონ. თუკი მხარეები დაიწყებენ ასეთი მოსამართლის აცილებას, ამან შეიძლება ბევრი მოსამართლე, რომელთაც მხრებზე აწევთ ასეთი მძიმე ტვირთი, ჩამოაცილოს სასამართლო განხილვებსა და კონკრეტულ საქმეებს.

***– ქალბატონო ლია, მოსამართლეთა უვადოდ დანიშვნა რეალურად არის მეტი დამოუკიდებლობა, მეტი თავისუფლება მათთვის?***

– დიახ, ეს არის აბსოლუტური დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისკენ გადადგმული სერიოზული ნაბიჯი. იმედი მინდა ვიქონიო, რომ ჩვენი მოსამართლეები სათანადოდ დააფასებენ ამ გადაწყვეტილებას და მას სამართლიანობასა და კანონიერების დაცვას მოახმარენ.

# დემურ სტურუას დედას პროკურატურა კიდევ ერთხელ დაკითხავს



„ახალი თაობა“ უკვე წერდა იმის შესახებ, რომ გარდაცვლილი დემურ სტურუას დედამ, ნონა ჯოჯუამ, სკანდალური განცხადება გააკეთა, რომლის მიხედვით, პოლიციელი გოდერძი თევზაძე დემურ სტურუას თვითმკვლელობაში დამნაშავე, შესაძლოა, არ იყოს.

ამ განცხადებასთან დაკავშირებით ნონა ჯოჯუა კიდევ ერთხელ დაიკითხება.

ამის შესახებ განცხადება მთავარმა პროკურორმა გააკეთა.

ირაკლი შოთაძის თქმით, დემურ სტურუას თვითმკვლელობის საქმეზე გამოძიება გრძელდება და საქმე ჯერ წინასწარი გამოძიების ეტაპზეა. ამასთანავე, მთავარი პროკურორი ადასტურებს, რომ თვითმკვლელობამდე დატოვებული წერილი ნამდვილად გარდაცვლილი დემურ სტურუას მიერაა დაწერილი.

– აუცილებლად მოხდება დაზარალებულის უფლებამონაცვლის დაკითხვა მის მიერ საჯაროდ გაცხადებული ფაქტების ირგვლივ. რაც შეეხება ფაქტს, რომ წერილი არ არის დაწერილი გარდაცვლილის მიერ, მე შემიძლია გითხრათ, რომ ამ წერილზე ჩატარებულია ექსპერტიზა და უტყუარად არის დადგენილი, რომ იგი დაწერილია გარდაცვლილის მიერ.

ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, დღევანდელი მტკიცებულება არ დასტურდება, თუმცა ვაპირებთ და უკვე შევეხმიანეთ დაზარალებულ მხარეს. იგი დაბარებულია და დაიკითხება მის მიერ გაკეთებულ საჯარო განცხადებაზე, – განაცხადა ირაკლი შოთაძემ.

დემურ სტურუას ბიცოლა ფიქრობს, რომ ნონა ჯოჯუამ, პოზიციის შეცვლის სანაცვლოდ, ფული აიღო.

როგორც დარიკო ჯაშმა ჟურნალისტებთან განაცხადა, მისთვის გაუგებარია, რატომ შეიცვალა ნონა ჯოჯუამ პოზიცია ერთ დღეში:

– სად გაექცევა წერილს, რომელიც დემურიკომ დაწერა და თქვა, პოლიციელი გოდერძი მცემდა და მაშინებდაო. სად გაექცევა ექსპერტიზის პასუხს, სადაც ყველაფერი აღნიშნულია. არ ვიცი, რა დაემართა ჩემს რძალს. ის, რასაც 3 თვეა ვამტკიცებდით, ერთ დღეში რატომ გადაიფიქრა. დარწმუნებული ვარ, ჩემმა რძალმა პოზიციის შეცვლის სანაცვლოდ ფული აიღო, – აცხადებს დარიკო ჯაში.

# შსს-მ გორში ნაციონალების მხარდამჭერის ცემის ფაქტზე გამოძიება დაიწყო



გორში, სოფელ ქვემო სოდისში, ნაციონალური მოძრაობის მხარდამჭერ ალბერტ მერებაშვილის ცემის ფაქტზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 125-ე მუხლის პირველი ნაწილით დაიწყო, რომელიც ცემას გულისხმობს.

გარდა ამისა, როგორც შსს-ში აცხადებენ, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე მუხლის საფუძველზე, რომელიც წვრილმან ხულიგნობას გულისხმობს, დაკავებულია თავად ალბერტ მერებაშვილის მამა. არსებული ინფორმაციით, მან კომისიის წევრებს სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა.

ნაციონალური მოძრაობის ინფორმაციით, პარტიის მხარდამჭერ ალბერტ მერებაშვილს გორის საკრებულოს წევრმა კობა ბერიანიძემ სცემა.

– სოფელ ზედგულეთში გორის საკრებულოს წევრმა კობა ბერიანიძემ ზონდერებთან ერთად სცემა ნაციონალური მოძრაობის მხარდამჭერ ალბერტ მერებაშვილს, აცხადებენ პარტიაში.

# შვილიშვილი ბებიას თოფს ესვრის

## შსს-მ გამოძიება დაიწყო



შინაგან საქმეთა სამინისტრომ სოციალურ ქსელში გავრცელებულ ვიდეოსთან დაკავშირებით, რომელიც მოხუც ქალზე ძალადობას ეხება, გამოძიება დაიწყო.

გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც ოჯახში ძალადობას გულისხმობს.

სოციალურ ქსელში ვიდეო რამდენიმე დღის წინ გავრცელდა. მასში ასახულია, თუ როგორც აწვალებს ორი ახალგაზრდა მოხუც ქალს.

როგორც ირკვევა, ვიდეო იმერეთის ერთ-ერთ სოფელშია გადაღებული და იუთუბზე მარტშია ატვირთული.

ვიდეოს მობილურით გოგონა იღებს, რომელიც მოხუცის შვილიშვილია, მეორე კი, ახალგაზრდა ბიჭი, პნევმატური იარაღიდან ესვრის მოხუცს და აწვალებს.

კადრში ჩანს, როგორ ხალისობენ და იცინიან ახალგაზრდები მოხუცი ქალის რეაქციებზე, რომელიც სთხოვს შვილიშვილებს, ძალადობა შეწყვიტონ.



**ელექტროლეიბი – ეს არის საუკეთესო გადაწყვეტილება ცივი ზამთრისთვის. ელექტროლეიბთან ერთად თქვენ არ შეგაშინებთ ყინვა და ცივი ღამეები.**

ეკონომიურია და, რაც მთავარია, აბსოლუტურად უსაფრთხო...

ერთი თვის განმავლობაში მოიხმარს 1-2 ლარის ღირებულების ელექტროენერგიას.

პროდუქცია დამზადებულია 100% ბუნებრივი ქსოვილისაგან, ბოლოებში დაფარულია თერმოდამცავი სისტემით, რომელიც ინარჩუნებს სითბოს. სითბო თანაბრად ნაწილდება ლეიბის მთელ ფართობზე.

ზომა: 120X160

რეჟიმი: 2

დაცულია გადახურებისგან.

**მისამართი: ქ.თბილისი, ვაჟა ფშაველას 79 (უკანა მხარე); ქ.ზესტაფონი, რუსთაველის 158**

**ტელ.: 218-21-86; 579-885-996.**

# მანავში ავარიის შედეგად 5 ადამიანი დაშავდა




საგარეჯოს რაიონის სოფელ მანავში ერთმანეთს საპირისპირო მხრიდან მოძრავი 2 ავტომობილი შეეჯახა.

ავტოავარიის შედეგად 5 ადამიანი დაშავდა, მათ შორის 3 არასრულწლოვანია.

დაშავებულები საგარეჯოს საავადმყოფოში მოათავსეს. ერთ-ერთის მდგომარეობა მძიმეა და მას სასწრაფო ოპერაცია ჩაუტარდა.

საქმეზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლის პირველი ნაწილით დაიწყო, რაც ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევას გულისხმობს.

**ძვალ-სახსართა პრობლემების:**

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზიური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა. დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება. მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციევ სახსრებზე — ძვლის მკვებავებით, მცენარეული პრეპარატებით, წონის დარეგულირებით, სისხლის მიმოქცევის აღდგენით, იმუნიტეტის გაძლიერებით, მარილებისა და შლაკებისაგან გათავისუფლებით. უკუჩვენება არაა. შედეგები საუკეთესოა და მყარი.

☎ 599-91-37-65, 234-02-38

**ქალბატონი ქეთათო**

# გფბ-მ ჰილარი კლინტონის საქმეზე გამოძიება განაახლა



გამოძიების ფედერალური ბიუროს (გფბ) დირექტორმა კომიმ განაცხადა, რომ განახლდა გამოძიება ჰილარი კლინტონის მიერ პირადი სერვერის გამოყენების გამო.

კომიმ აღნიშნა, რომ გფბ-ს განკარგულებაში აღმოჩნდა ახალი მასალები, რაც შემოწმებას მოითხოვს.

თავად ჰილარი კლინტონმა აიოვაში გამართულ პრესკონფერენციაზე აღნიშნა, რომ გამოძიება ახალს ვერაფერს დაადგენს, რადგან ყველაფერი უკვე კარგა ხნის გარკვეულია.

– ახალი გამოძიების შედეგები ისეთივე იქნება, როგორიც ძველის, – განაცხადა მისის კლინტონმა.

ბიბისის ანალიტიკოს ენტონი ზურკერის აზრით, ხელახალმა გამოძიებამ შესაძლოა მართლაც ვერაფერი აღმოაჩინოს, თუმცა, არც ისაა გამორიცხული, რომ სენსაციური ფაქტების გამოჩხრეკა მოხერხდეს.

– უდავოა ერთი: სანამ საპრეზიდენტო არჩევნები არ დამთავრდება, გამოძიების შედეგები არ გასაჯაროვდება, – აცხადებს ანალიტიკოსი.

გფბ-ს დირექტორის განცხადების შემდეგ განსხვავება კლინტონსა და ტრამპს შორის შემცირდა. ტრამპს მხარს უჭერს 45%, ჰილარი კლინტონს – 47%. გასული კვირის განმავლობაში ჰილარი კლინტონმა ქულები დაკარგა, ტრამპმა კი მოიპოვა.

ჰილარი კლინტონმა გფბ-ს მოუწოდა, მის მიმართ დაწყებული გამოძიების დეტალები გაასაჯაროოს.

# მადურო იმუქრება



ვენესუელის პრეზიდენტი ნიკოლას მადურო აცხადებს, რომ ოპოზიციამ დაშვებულის ზღვარს გადააჭარბა.

– ის, რაც ქვეყანაში ხდება, არის არა თავისუფალი აზრის გამოხატვა, არამედ ანარქია, – აცხადებს პრეზიდენტი და ამბობს, რომ წესრიგის აღსადგენად არც ძალის გამოყენებას მოერიდება.

– ოპოზიციონერებს ციხეებში ჩავყრი! – ამბობს პრეზიდენტი.

გაეროს გენერალურმა მდივანმა პან გი მუნმა, თავის მხრივ, განაცხადა, რომ ვენესუელაში ვითარება იძაბება და კონფრონტაციის საფრთხე რეალურია.

– როგორც ხელისუფლებას, ისე ოპოზიციას მოვუწოდებ, თავი შეიკავონ და საქმე ესკალაციამდე არ მიიყვანონ, – განაცხადა გაეროს გენერალურმა მდივანმა.

# ალეპოს კვლავ ბომბავენ

რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა საკუთარ გენშტაბს ალეპოს ბომბარდირების განახლების უფლება არ მისცა. მან განაცხადა, რომ ჰუმანიტარული პაუზა უნდა გაგრძელდეს.

ამასობაში სირიელი პარტიზანები კონტრშეტევაზე გადავიდნენ. ასადის



მხედრობა ალეპოში პოზიციას პოზიციაზე თმობს. პარტიზანების ლიდერი აბუ მუსტაფა აცხადებს, რომ მალე ალეპოს გარშემო შემოკრული რკალი გარღვეული იქნება. ასადელთა პასუხმაც არ დაახანა. პარტიზანების პოზიციებზე ალეპოში რამდენიმე ძლიერი საჰაერო დარტყმა განხორციელდა.

არის მსხვერპლი მშვიდობიან მოსახლეობას შორის.

# სამხრეთ კორეაში პრეზიდენტის გადადგომას მოითხოვენ




სეულში გაიმართა მრავალათასიანი დემონსტრაციები პრეზიდენტ პაკ ინ კხეს გადაყენების მოთხოვნით.

პაკ ინ კხე პირველი კორეელი ქალია, რომელიც პრეზიდენტად აირჩიეს.

# იტალიაში კიდევ ერთი მიწისძვრა მოხდა

იტალიაში კიდევ ერთი მიწისძვრა დაფიქსირდა. ქვეყნის ცენტრალურ რეგიონებში მიწისქვეშა ბიძგების სიმძლავრემ 6,6 მაგნიტუდა შეადგინა.

მიწისძვრის ეპიცენტრი ქალაქ პერუჯიდან 68 კილომეტრის დაშორებით 108 კილომეტრის სიღრმეში დაფიქსირდა.

მიწისძვრა უმბრიის რეგიონში მდებარე ნორჩას კომუნის სიახლოვეს მოხდა. აღნიშნული კომუნა ჯერ კიდევ რამდენიმე დღის წინ ორმაგი ბიძგების შედეგად ძლიერ დაზარალდა.



შეშინებული მოსახლეობა ქუჩაში გამოვიდა.

ნორჩას გარდა, დაზარალდა მარკეს რეგიონში მდებარე არკუატა-დელ-ტრონტოს კომუნაც.

რყევები რომშიც საგრძნობი იყო. ხელისუფლებამ უსაფრთხოების ზომები მიიღო და მეტრო დაკეტა.

მარკეს რეგიონის ქალაქ ტოლენტინოში მაშველებმა შენობის ნანგრევებიდან 3 ადამიანი ამოიყვანეს. მათ სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება.

მიწისძვრის შედეგად 10 ადამიანი დაშავდა. დაშავებულთა ჯანმრთელობის მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია, მხოლოდ ერთი მათგანი იმყოფება მძიმე მდგომარეობაში.

# ერდოღანი სიკვდილით დასჯის დაკანონებას აპირებს



თურქეთის პრეზიდენტმა რეჯებ ერდოღანმა განაცხადა, რომ სიკვდილით დასჯის დაკანონებას მხარს დაუჭერს.

ერდოღანმა აღნიშნა, რომ ამის თაობაზე პარლამენტმა სათანადო გადაწყვეტილება უნდა მიიღოს.

– ქვეყანაში უმძიმესი მდგომარეობაა, რაც ამა წლის ზაფხულის პუტჩმაც დაადასტურა. დეპუტატებს მოვუწოდებ, გამოიჩინონ ვაჟკაცობა. მესმის, ამის გაკეთება მძიმეა, მაგრამ დღეს ეს ქვეყნისთვის აუცილებელია, – თქვა ერდოღანმა.

# ბელარუსის ოპოზიციამ სტალინური რეპრესიების მსხვერპლთა დღე აღნიშნა



მინსკში ბელარუსის ოპოზიციამ სტალინური რეპრესიების მსხვერპლთა დღე აღნიშნა.

აქცია ბელარუსის სუკის წინ ჩატარდა.

– სამწუხაროდ, ჩვენი ხელისუფლება დუმს იმაზე, თუ რა მსხვერპლი გაიღო ბელარუსმა სტალინური ტერორის შედეგად, – აცხადებენ ბელარუსი ოპოზიციონერები.

ბელარუსმა მწერალმა და ნობელის პრემიის ლაურეატმა სვეტლანა ალექსიევიჩმა თქვა, რომ ბელარუსი როგორც სტალინური, ისე ჰიტლერული ტერორისგან სასტიკად დაზარალდა.

– პირადად მე სტალინსა და ჰიტლერს შორის განსხვავებას ვერ ვხედავ, – ამბობს ალექსიევიჩი.

**სამკურნალო-დიაგნოსტიკური ცენტრი „კელპი“ გთავაზობთ მაღალხარისხიან და სრულფასოვან მკურნალობას შემდეგ დაავადებებზე!**

1) შარდ-სასქესო სისტემის პრობლემები (პროსტატიტი, ადენომა, ცისტიტი, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, ენურეზი, წვა-ტკივილი შარდვისას);

2) პოტენციის დაქვეითება (რეპროდუქციული ფუნქციის აღდგენა-შენარჩუნება);

3) ვენერიული, ინფექციური, ვირუსული პათოლოგიები;

4) ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა, ღვიძლის ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება (ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე);

5) ნერვული სისტემის მოწესრიგება (ნევროზი, შიშები, დეპრესია, აგრესია, აკვიატებული აზრები, უძილობა).

მოგემსახურებიან მაღალკვალიფიციური ექიმები.

**კონსულტაცია უფასოა!**

☎ 593-44-58-65; 218-46-08 (ოფისი).

მისამართი: აღმაშენებლის 154.

„მწვანე ოფისი“.

# არჩევნები ისლანდიაში



ისლანდიის არჩევნებზე დამოუკიდებლობის პარტია 28%-ით ლიდერობს, მეორეზე არიან მწვანეები – 17%.

დამოუკიდებლობის პარტიას, შესაძლოა, მთავრობის დამოუკიდებლად ფორმირებისთვის ხმები არ ეყოს. ასეა ეს თუ არა ან ვისთან შევლენ ისინი კოალიციაში, საბოლოო შედეგების გამოქვეყნების შემდეგ გახდება ცნობილი.

*მოამზადა ნიკა თევზაძემ*

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა** მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. პროსტატიტს, ბუასილს; 11. კუჭის წყლულს; 12. გულძმარვას („იჟოგას“); 13. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 14. გამაგრებულ ნანემსარს; 15. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 16. მოვხსნი მეჭეჭებს; 17. განვკურნავ ჭიებისგან; 18. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 19. სოკოვან დაავადებებს; 20. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.

მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.**

**ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**

# განცხადებები

● სიახლე! სტომატოლოგიური კლინიკა გთავაზობთ მომსახურებას თქვენს ბინაზე გამოძახებით, კბილების პროთეზირება. ორი ყბის ფასი 250 ლარი. იტალიური, იაპონური კბილები, გარანტიით. ტელ: 555-72-64-98.

**გთავაზობთ სამსახურს**

● გვესაჭიროება თანამშრომელი ოფისში სამუშაოდ. სწავლა და მხარდაჭერა გარანტირებულია. ღირსეული ხელფასი. რუსული ენის ცოდნა აუცილებელია. ტელ: 568-52-50-02.

● რუსულენოვან კომპანიას ესაჭიროება უფროსის მოადგილე. სამუშაო გამოცდილება აუცილებელია. ტელ: 579-02-49-90.

**მკურნალობა**

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომპანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის ადენომის (ავთვისებიანი გადაგვარების დროსაც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობის, წვის, შარდვისას ტკივილის, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.

● უცხოეთში კვალიფიცირებული ექიმი-პედიატრი, გთავაზობთ სხვადასხვა სახის, ზოგადი პროფილის, ასევე ყველა ასაკის ბავშვთა მასაჟს. ვმუშაობ სხეულის კორექციაზეც ვაკუუმ-მასაჟის მეთოდით. მსურველებს, საჭირო კურსის ჩატარების შემდეგ, ექნებათ ლიპოსაქციის ეფექტი. 599 48-66-39.

● ქრონიკული ალკოჰოლიზმისგან განკურნება, „პახმელია“, „ზაპოი“, აგრესიულობა, ალკოჰოლდამოკიდებულების მოხსნა (შეგიძლიათ შეურიოთ საკვებში), სიგარეტის მწეველობისგან განთავისუფლება ფილტვების გაწმენდით, ნერვული სტატუსის მოწესრიგებით, ნიკოტინდამოკიდებულების მოხსნა მცენარეული, გარანტირებულად უსაფრთხო პროდუქტით. ტელ: 599-45-88-66; 555–45-13-45. საიტი: carabadini.com

# ჩიხურამ საჩემპიონო პლეი ოფში თამაში გაინაღდა



**ჩიხურა-ტორპედო 2:1**

**გორი.** თენგიზ ბურჯანაძე
0:1 მამასახლისი (65პ), 1:1 გორგიაშვილი (66), 2:1 ჩიკვაიძე (85)

**ჩიხურა:** ჰამზიჩი, კაშია, რეხვიაშვილი, ჩიკვაიძე, თორნიკე გრიგალაშვილი, გორგიაშვილი, განუგრავა, დობროვოლსკი (გვალია 46), ლექვთაძე (სარდალიშვილი 71), ს.ლობჟანიძე (კაკუბავა 90), ტატანაშვილი

**ტორპედო:** კვასხვაძე, გურული, ქიმაძე, ტაბატაძე, მამასახლისი (კაპანაძე 87), ჭიჭინაძე, ბაბუნაშვილი (ნერგაძე 80), დოლიძე, ტუღუში, ფალავანდიშვილი, კვერნაძე (კუჭუხიძე 61)

თეთრი ჯგუფის ლიდერ ჩიხურასთან წაგებით ტორპედოელებმა დაიმძიმეს სატურნირო მდგომარეობა. რაც შეეხება საჩხერელებს, გამარჯვებამ მათ ვადამდე მოაპოვებინა საჩემპიონო პლეი ოფში თამაშის უფლება.

პირველი ტაიმი ძირითადად პოზიციურ ბრძოლაში მიმდინარეობდა და არცთუ სანახაობრივი გამოდგა. მიუხედავად ამისა, ორივე კართან მაინც შეიქმნა რამდენიმე სახიფათო ეპიზოდი. პირველი დარტყმა ხელსაყრელი მდგომარეობიდან საჩხერელმა თორნიკე გორგიაშვილმა განახორციელა, თუმცა მიზანში ვერ მოახვედრა და მალევე ირაკლი ლექვთაძეს მიეცა გატანის შესაძლებლობა, მაგრამ როინ კვასხვაძემ გაისარჯა ჩინებულად, ათიოდე მეტრიდან დარტყმული უძნელესი ბურთი მოიგერია.

შუა ტაიმში გრიგოლ დოლიძე შორიდან დაემუქრა ჩიხურას კარს – ბურთი ხარიხას გადასდა. შემდეგ გუგა ფალავანდიშვილი ზედიზედ აღმოჩნდა კარგ პოზიციაზე. მან ჯერ მეკარისთვის ბურთის თავზე გადაგდება ცადა, ოღონდ უშედეგოდ, მეორე შემთხვევაში კი მახვილი კუთხიდან ახლო ძელთან დაურტყა დინო ჰამზიჩს, რომელიც ადგილზე დაუხვდა ბურთს.

მე-2 ტაიმის დასაწყისი ქუთაისელთა იერიშებით აღინიშნა. ოთარ კვერნაძე, დოლიძე, ბექა ტუღუში ურტყამდნენ საჩხერელთა კარისკენ, ანრი ჭიჭინაძეც სახიფათოდ ჩაერთო ერთ-ერთ შეტევაში, თუმცა ყველა მომენტი გამოუყენებელი დარჩა. მერე იყო და კვასხვაძემ ისევ გადაარჩინა თავისი გუნდი, როდესაც საბა ლობჟანიძის დარტყმულზე მოახდინა სწრაფი რეაგირება.

63-ე წუთზე ტორპედოელებმა მორიგი შეტევა განახორციელეს. ტუღუშმა მარცხენა ფრთიდან ბურთი საპირისპირო მხარეს გადაიტანა, მცველისგან ბურთი დოლიძეს მიუვიდა, რომელმაც უმალ საჯარიმოში შესულ ოლეგ მამასახლისი მოძებნა, ვის შესაჩერებლადაც აკრძალული ხერხი იქნა გამოყენებული და არბიტრმა 11-მეტრიანით დასაჯა საჩხერელები. მამასახლისმა უნაკლოდ შეასრულა პენალტი და ტორპედო დააწინაურა, ოღონდ, როგორც აღმოჩნდა, არცთუ დიდი ხნით. საჩხერელთა სწრაფი შეტევის შედეგად, გორგიაშვილმა ანგარიში შესანიშნავი დარტყმით გაათანაბრა.

69-ე წუთზე ქუთაისელებს ისევ შეეძლოთ წინ გასვლა. ფალავანდიშვილმა კარგად შეასრულა საჯარიმო, მაგრამ ბურთი ხარიხას მოხვდა.

ბოლოსკენ თამაში თანაბარ ბრძოლაში, ფრისკენ მიდიოდა, მაგრამ ტორპედოელებს ძვირად დაუჯდათ დაცვაში „ჩავარდნა“: 84-ე წუთზე ლაშა ჩიკვილაძის ლამაზმა გოლმა ჩიხურას გამარჯვება მოუტანა.

**გურია-ლოკომოტივი 1:0**

**ლანჩხუთი.** ევგრაფი შევარდნაძე
1:0 მურაშოვი (49)

**გურია:** იმერლიშვილი, მეგრელიშვილი, ჭეიშვილი, ჩადუნელი, ნოზაძე, ფელიპე (ნ.დიასამიძე 84), მოროზენკო, კირკიტაძე, ჭეჭელაშვილი, დინიზი (სტეფნიაშვილი 60), მურაშოვი (იმნაძე 90)

**ლოკომოტივი:** თევდორაძე, მახარაძე, გაბაძე, პატარკაციშვილი, კლიმიაშვილი, გ.დიასამიძე, უბილავა, ქიქავა (სამურკასოვი 61), ჩაგელიშვილი (გავაშელიშვილი 75), ზარანდია, ბუღრიძე (კიკაბიძე 53)

სამმატჩიანი წაგებათა სერიის შემდეგ ძალიან საჭირო მატჩი მოიგო ლანჩხუთის გურიამ. გურულებმა საკუთარ „ევგრაფი შევარდნაძეზე“ უშუალო კონკურენტი თბილისის ლოკომოტივი მიიღეს და დაძაბულ ბრძოლაში მინიმალური ანგარიშით, 1:0 დაამარცხეს მეტოქე.

გამარჯვების გოლი 49-ე წუთზე უკრაინელმა ლეგიონერმა ევგენი მურაშოვმა გაიტანა.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ჩიხურა | 10 | 7 | 2 | 1 | 21-10 | 23 |
| 2.დინამო (თბ) | 9 | 3 | 5 | 1 | 11-5 | 14 |
| 3.გურია | 10 | 3 | 2 | 5 | 8-14 | 11 |
| 4.ლოკომოტივი | 9 | 3 | 2 | 4 | 8-13 | 11 |
| 5.შუქურა | 9 | 2 | 4 | 3 | 9-11 | 10 |
| 6.ტორპედო | 9 | 2 | 3 | 4 | 9-10 | 9 |
| 7.ცხინვალი | 8 | 2 | 2 | 4 | 10-13 | 8 |

**ნითელი ჯგუფი**

**საბურთალო-კოლხეთი 6:1**

**თბილისი.** მიხეილ მესხი
1:0 ვაგნერი (45), 1:1 რამალდანოვი (51), 2:1, 3:1 ხარაიშვილი (58, 62პ), 4:1, 5:1, 6:1 ფანცულაია (70, 83, 84)

**საბურთალო:** გოშაძე, იაშვილი, მარგველაშვილი, გრიგალაშვილი, ნადარაია (სოფრომაძე 66), ალთუნაშვილი, ელვინ ტერა (მამუჩაშვილი 56), ვაგნერი, ხარაიშვილი, ფანცულაია, სანტიაგო ხარა (გარსია პენა 73)

**კოლხეთი:** თებიძე, კილასონია (გედენიძე 73), რამალდანოვი, კერძევაძე, ქებურია, ნიქაბაძე, კაკულია (ლუკავა 46), ოზარკიევი, ჟიშკარიანი, ჩაკვეტაძე, ჯღამაია (შალიკაშვილი 84)

საბურთალოში დაბრუნებულმა გიორგი ჭიაბრიშვილმა პირველივე მატჩში გამარჯვება იზეიმა. გამარჯვებაცაა და გამარჯვებაც – წლევანდელ სეზონში ამხელა სხვაობით ჯერ არავის მოუგია.

თამაში საბურთალოელთა უპირატესობით დაიწყო. ცხადი იყო, რომ კოლხეთი მეორე ნომრად ითამაშებდა და აქცენტს კონტრშეტევებზე გააკეთებდა. თავდაპირველად, გიორგი ხარაიშვილის დარტყმის შემდეგ, თედორე გრიგალაშვილს შეეძლო ახლო მანძილიდან გატანა, მაგრამ მარჯვენა ფეხით ეს ვერ მოახერხა. მალევე თავად ხარაიშვილი დაემუქრა მეტოქის კარს, მაგრამ მეკარე გაბრიელ თებიძემ დარტყმული ბურთი მოიგერია.

35-ე წუთზე გიორგი ფანცულაიამ ხელსაყრელ პოზიციაზე ხარაიშვილი გაიყვანა, ამ უკანასკნელმა კარში დაარტყა, მაგრამ კვლავ თებიძემ იყოჩაღა. ის ის იყო, ტაიმი მთავრდებოდა, როდესაც კარგად გათამაშებული კომბინაცია გოლით დაგვირგვინდა – სანდრო ალთუნაშვილის გენიალური პასის შემდეგ ბრაზილიელ ვაგნერს ისღა დარჩენოდა რამდენიმე მეტრიდან ანგარიში გაეხსნა. ამპლუით შემტევი ნახევარმცველისთვის ეს პირველი ქართული გოლი იყო.

მეორე ტაიმი საბურთალოსთვის არასასიამოვნოდ დაიწყო – მარცხენა ფლანგიდან სტანდარტული მდგომარეობის შემდეგ, ტანმაღალმა რასიმ რამალდანოვმა ანგარიში თავური დარტყმით გაათანაბრა.

საბურთალოელებზე გაშვებულ გოლს ცუდად არ უმოქმედია. 57-ე წუთზე ვაგნერი-ხარაიშვილის კომბინაციის შემდეგ დედაქალაქური კლუბის კაპიტანმა საჯარიმოს გარედან მოჭრილი დარტყმით მეკარეს აუღებელი დაურტყა. ზუსტად ორ წუთში ხარაიშვილის მოკლე პასის შემდეგ, საჯარიმოში ფანცულაია წააქციეს, მსაჯმა თერთმეტმეტრიანისკენ მიუთითა. პენალტი ხარაიშვილმა უბადლოდ შეასრულა.

შემდეგ კი უკვე გიორგი ფანცულაიას ჯერი დადგა, რომელმაც 14 წუთში ჰეტ-თრიქი გაიფორმა. ამავდროულად, გიორგი პირველი ფეხბურთელი გახდა, რომელმაც მიმდინარე სეზონში 3 გოლის გატანა მოახერხა.

ფანცულაიამ 70-ე და 85-ე წუთებზე ვაგნერის გადაცემების შემდეგ განახორციელა შედეგიანი დარტყმები, ამ შუალედში კი ფრანცისკო გარსია პენას პასი შეირგო და ასე დაამწუხრა გაბრიელ თებიძე.

საბოლოოდ, საბურთალომ დიდი ანგარიშით მოიგო და 11 სექტემბრის მერე გამარჯვების გემო გაიხსენა.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.სამტრედია | 9 | 6 | 3 | 0 | 19-6 | 21 |
| 2.კოლხეთი | 10 | 6 | 0 | 4 | 9-14 | 18 |
| 3.დინამო (ბთ) | 9 | 3 | 5 | 1 | 12-4 | 14 |
| 4.საბურთალო | 9 | 3 | 3 | 3 | 13-11 | 12 |
| 5.დილა | 8 | 3 | 1 | 4 | 10-10 | 10 |
| 6.ზუგდიდი | 8 | 2 | 0 | 6 | 4-14 | 6 |
| 7.სიონი | 9 | 1 | 2 | 6 | 8-16 | 5 |

# დინამო წაუგებლად ლიდერობს

**რუსთავი-ქუთაისი 77:88**
(15:23, 17:26, 26:25, 19:14)

გაიმართა საქართველოს საკალათბურთო პირველობის მორიგი ტურის მატჩები.

ჩემპიონი ქუთაისი ქვემო ქართლის მთავარ ქალაქში ჩავიდა და ადგილობრივ გუნდს 88:77 მოუგო.

შეხვედრა მეორე პერიოდში მცირე ხნით შეჩერდა. მიზეზი 24 წამის დამთვლელი მოწყობილობის მუშაობის შეფერხება გახლდათ. პაუზის მომენტში სტუმრები უკვე 20 ქულით – 40:20 იგებდნენ, რაც ქუთაისელთა ზუსტი სროლების და ფარქვეშ წარმატებული გარჯით იყო განპირობებული.

რუსთაველებმა საბოლოოდ სტუმრებზე მეტი სამქულიანი ჩააგდეს, თუმცა პირველ ტაიმში შორი დისტანციიდან შესრულებული ზუსტი სროლების გათვალისწინებით დიდ უპირატესობას იმერული კლუბი ფლობდა. ქუთაისელთა წარმატება იმანაც განაპირობა, რომ მეორე ტაიმში პერიმეტრიდან სამწამიანისკენ შეიწიეს და ფარქვეშ ორთაბრძოლებშიც დაჯაბნეს მეტოქე.

რუსთაველები ნიადაგ ცდილობდნენ ჩამორჩენის გაბათილებას, მაგრამ მაქსიმუმი, რასაც მიაღწიეს, დეფიციტის 9 ქულამდე შემცირება იყო. საბოლოოდ კოტე ტუღუშის გაწვრთნილი ქუთაისი გამარჯვებამდე იოლად მივიდა.

გამარჯვებულებს გიორგი ცინცაძემ ულიდერა, რომელსაც სამმაგ დუბლამდე 1 მოხსნა დააკლდა – 17 ქულა, 10 პასი, 9 მოხსნა. 20 ქულით კი ქუთაისელთა ბომბარდირი გიორგი ბარბაქაძე გახდა.

რუსთაველთა რიგებში 17 ქულით საუკეთესო იყო ჩარლი ლი, ქეისი კასპერბაუერის ანგარიშზე კი 15 ქულა დაგროვდა.

**სოხუმი-დინამო 76:111**
(23:21, 23:25, 15:27, 15:38)

მიუხედავად იმისა, რომ სოხუმს საწყისი ორივე მატჩი წაგებული ჰქონდა, ხოლო დინამოს ორივე მოგებული, პირველი ტაიმი დაძაბული და თანაბარი გამოდგა. მეორე ნახევარი რადიკალურად განსხვავებული გამოდგა, რომელიც დინამომ უკეთ ჩაატარა და საბოლოოდ დიდი სხვაობით – 111:76 გაიმარჯვა.

გაგრძელება მე-10 გვერდზე

# შედეგები

**29 ოქტომბერი**

**ფეხბურთი**

**ინგლისი. პრემიერლიგა**

სანდერლენდი-არსენალი ............... 1:4
მანჩესტერი-ბარნლი ...................... 0:0
მიდლსბრო-ბორნმუთი ................. 2:0
ტოტენჰემი-ლესტერი ..................... 1:1
უოტფორდი-ჰალი ......................... 1:0
ვესტ ბრომვიჩი-სიტი ..................... 0:4
კრ.პალასი-ლივერპული ................. 2:4

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.სიტი | 10 | 7 | 2 | 1 | 24-9 | 23 |
| 2.არსენალი | 10 | 7 | 2 | 1 | 23-10 | 23 |
| 3.ლივერპული | 10 | 7 | 2 | 1 | 24-13 | 23 |
| 4.ტოტენჰემი | 10 | 5 | 5 | 0 | 14-5 | 20 |
| 5.ჩელსი | 9 | 6 | 1 | 2 | 19-9 | 19 |
| 6.ევერტონი | 9 | 4 | 3 | 2 | 13-8 | 15 |
| 7.უოტფორდი | 10 | 4 | 3 | 3 | 14-13 | 15 |
| 8.მანჩესტერი | 10 | 4 | 3 | 3 | 13-12 | 15 |
| 9.საუთჰემპტონი | 9 | 3 | 4 | 2 | 11-8 | 13 |
| 10.ბორნმუთი | 10 | 3 | 3 | 4 | 12-14 | 12 |
| 11.ლესტერი | 10 | 3 | 3 | 4 | 12-16 | 12 |
| 12.კრ.პალასი | 10 | 3 | 2 | 5 | 14-16 | 11 |
| 13.ბარნლი | 10 | 3 | 2 | 5 | 8-13 | 11 |
| 14.მიდლსბრო | 10 | 2 | 4 | 4 | 9-11 | 10 |
| 15.ვესტ ბრომვიჩი | 10 | 2 | 4 | 4 | 10-14 | 10 |
| 16.ვესტ ჰემი | 9 | 3 | 1 | 5 | 10-17 | 10 |
| 17.სტოკი | 9 | 2 | 3 | 4 | 9-16 | 9 |
| 18.ჰალი | 10 | 2 | 1 | 7 | 8-23 | 7 |
| 19.სუონსი | 9 | 1 | 2 | 6 | 8-15 | 5 |
| 20.სანდერლენდი | 10 | 0 | 2 | 8 | 7-20 | 2 |

**ინგლისი. ჩემპიონლიგა**

ბარნსლი-ბრისტოლი ..................... 2:2
ბრაიტონი-ნორვიჩი ...................... 5:0
კარდიფი-უიგანი ........................... 0:1
დერბი-უენსდი ............................... 2:0
ფულემი-ჰადერსფილდი ................ 5:0
იფსვიჩი-როტერჰემი ..................... 2:2
ლიდსი-ბარტონი ............................ 2:0
პრესტონი-ნიუკასლი ..................... 1:2
რედინგი-ნოტინგემი ...................... 2:0
ბლექბერნი-ვულვზი ...................... 1:1

**ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი**

ხიხონი-სევილია ............................ 1:1
ალავესი-რეალი ............................. 1:4
ატლეტიკო-მალაგა ....................... 4:2
ბარსელონა-გრანადა .................... 1:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.რეალი | 10 | 7 | 3 | 0 | 28-10 | 24 |
| 2.ბარსელონა | 10 | 7 | 1 | 2 | 30-12 | 22 |
| 3.ატლეტიკო | 10 | 6 | 3 | 1 | 25-6 | 21 |
| 4.სევილია | 10 | 6 | 3 | 1 | 18-13 | 21 |
| 5.ვილიარეალი | 9 | 5 | 4 | 0 | 16-5 | 19 |
| 6.სოსიედადი | 10 | 5 | 1 | 4 | 16-12 | 16 |
| 7.ბილბაო | 9 | 5 | 0 | 4 | 14-12 | 15 |
| 8.სელტა | 9 | 4 | 1 | 4 | 13-17 | 13 |
| 9.ლას პალმასი | 9 | 3 | 3 | 3 | 17-15 | 12 |
| 10.ეიბარი | 9 | 3 | 3 | 3 | 14-13 | 12 |
| 11.მალაგა | 10 | 3 | 3 | 4 | 14-14 | 12 |
| 12.ბეტისი | 9 | 3 | 2 | 4 | 11-19 | 11 |
| 13.ალავესი | 10 | 2 | 4 | 4 | 10-15 | 10 |
| 14.ლეგანესი | 10 | 3 | 1 | 6 | 9-19 | 10 |
| 15.ვალენსია | 9 | 3 | 0 | 6 | 13-18 | 9 |
| 16.ხიხონი | 10 | 2 | 3 | 5 | 8-19 | 9 |
| 17.ესპანიოლი | 9 | 1 | 5 | 3 | 12-17 | 8 |
| 18.დეპორტივო | 9 | 2 | 2 | 5 | 6-14 | 8 |
| 19.ოსასუნა | 9 | 1 | 3 | 5 | 11-19 | 6 |
| 20.გრანადა | 10 | 0 | 3 | 7 | 8-24 | 3 |

**ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი**

უესკა-რეუსი ................................... 2:1
სარაგოსა-ალმერია ........................ 2:1
ტენერიფე-რაიო ............................. 3:2
კორდობა-ვალიადოლიდი .............. 1:1

**გერმანია. ბუნდესლიგა**

მაინცი-ინგოლშტადტი .................. 2:0
ვოლფსბურგი-ლევერკუზენი ......... 1:2
აუგსბურგი-ბაიერნი ....................... 1:3
ვერდერი-ფრაიბურგი .................... 1:3
დარმშტადტი-ლაიპციგი ................ 0:2
დორტმუნდი-შალკე ....................... 0:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბაიერნი | 9 | 7 | 2 | 0 | 23-5 | 23 |
| 2.ლაიპციგი | 9 | 6 | 3 | 0 | 17-6 | 21 |
| 3.ჰერტა | 8 | 5 | 2 | 1 | 14-9 | 17 |
| 4.ჰოფენჰაიმი | 8 | 4 | 4 | 0 | 16-10 | 16 |
| 5.დორტმუნდი | 9 | 4 | 3 | 2 | 20-10 | 15 |
| 6.კიოლნი | 8 | 4 | 3 | 1 | 13-6 | 15 |
| 7.აინტრახტი | 9 | 4 | 3 | 2 | 13-8 | 15 |
| 8.ფრაიბურგი | 9 | 5 | 0 | 4 | 13-13 | 15 |
| 9.მაინცი | 9 | 4 | 2 | 3 | 16-15 | 14 |
| 10.ლევერკუზენი | 9 | 4 | 1 | 4 | 13-13 | 13 |
| 11.გლადბახი | 9 | 3 | 3 | 3 | 10-12 | 12 |
| 12.შალკე | 9 | 2 | 2 | 5 | 10-11 | 8 |
| 13.აუგსბურგი | 9 | 2 | 2 | 5 | 8-14 | 8 |
| 14.დარმშტადტი | 9 | 2 | 2 | 5 | 8-17 | 8 |
| 15.ვერდერი | 9 | 2 | 1 | 6 | 11-24 | 7 |
| 16.ვოლფსბურგი | 9 | 1 | 3 | 5 | 6-13 | 6 |
| 17.ინგოლშტადტი | 9 | 0 | 2 | 7 | 7-19 | 2 |
| 18.ჰამბურგი | 8 | 0 | 2 | 6 | 2-15 | 2 |

**გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა**

ფიურტი-კაიზერი ........................... 0:1
უნიონი-ფორტუნა ......................... 0:1

**იტალია. სერია ა**

ბოლონია-ფიორენტინა ................. 0:1
იუვენტუსი-ნაპოლი ....................... 2:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.იუვენტუსი | 11 | 9 | 0 | 2 | 23-8 | 27 |
| 2.რომა | 10 | 7 | 1 | 2 | 26-12 | 22 |
| 3.ნაპოლი | 11 | 6 | 2 | 3 | 20-12 | 20 |
| 4.მილანი | 10 | 6 | 1 | 3 | 16-14 | 19 |
| 5.ლაციო | 10 | 5 | 3 | 2 | 20-11 | 18 |
| 6.ფიორენტინა | 10 | 4 | 4 | 2 | 13-10 | 16 |
| 7.ატალანტა | 10 | 5 | 1 | 4 | 13-13 | 16 |
| 8.ჯენოა | 9 | 4 | 3 | 2 | 12-7 | 15 |
| 9.ტორინო | 10 | 4 | 3 | 3 | 20-13 | 15 |
| 10.კიევო | 10 | 4 | 3 | 3 | 11-10 | 15 |
| 11.ინტერი | 10 | 4 | 2 | 4 | 13-13 | 14 |
| 12.უდინეზე | 10 | 4 | 1 | 5 | 13-16 | 13 |
| 13.სასუოლო | 10 | 4 | 1 | 5 | 13-17 | 13 |
| 14.კალიარი | 10 | 4 | 1 | 5 | 17-23 | 13 |
| 15.ბოლონია | 11 | 3 | 4 | 4 | 11-15 | 13 |
| 16.სამპდორია | 10 | 3 | 2 | 5 | 11-16 | 11 |
| 17.პესკარა | 10 | 1 | 4 | 5 | 9-15 | 7 |
| 18.ემპოლი | 10 | 1 | 3 | 6 | 2-13 | 6 |
| 19.პალერმო | 10 | 1 | 3 | 6 | 7-19 | 6 |
| 20.კროტონე | 10 | 0 | 2 | 8 | 8-21 | 2 |

**იტალია. სერია ბ**

ბარი-პრო ვერჩელი ........................ 2:0
ბენევენტო-სპეცია ......................... 1:0
კარპი-ასკოლი ............................... 0:2
ჩიტადელა-ლატინა ....................... 2:1
ფროზინონე-ჩეზენა ....................... 2:1
სალერნიტანა-პიზა ....................... 0:0
ტერნანა-ნოვარა ........................... 4:3
ენტელა-ბრეშა ............................... 4:0

**საფრანგეთი. 1 ლიგა**

ტულუზა-ლიონი ........................... 1:2
ნანსი-კაენი .................................... 2:0
სტ.ეტიენი-მონაკო ......................... 1:1
ლორიანი-მონპელიე ...................... 2:2
ბასტია-დიჟონი ............................. 0:0
გენგამი-ანჟე .................................. 1:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ნიცა | 10 | 8 | 2 | 0 | 20-7 | 26 |
| 2.მონაკო | 11 | 7 | 2 | 2 | 30-15 | 23 |
| 3.პსჟ | 11 | 7 | 2 | 2 | 20-7 | 23 |
| 4.გენგამი | 11 | 6 | 2 | 3 | 14-9 | 20 |
| 5.ტულუზა | 11 | 5 | 3 | 3 | 15-9 | 18 |
| 6.სტ.ეტიენი | 11 | 4 | 5 | 2 | 14-10 | 17 |
| 7.რენი | 10 | 5 | 2 | 3 | 12-12 | 17 |
| 8.ლიონი | 11 | 5 | 1 | 5 | 18-15 | 16 |
| 9.ბორდო | 10 | 4 | 3 | 3 | 13-12 | 15 |
| 10.ანჟე | 11 | 4 | 2 | 5 | 10-11 | 14 |
| 11.მარსელი | 10 | 3 | 4 | 3 | 11-10 | 13 |
| 12.დიჟონი | 11 | 3 | 4 | 4 | 13-14 | 13 |
| 13.მეცი | 10 | 4 | 1 | 5 | 11-20 | 13 |
| 14.ბასტია | 11 | 3 | 2 | 6 | 8-10 | 11 |
| 15.ნანტი | 10 | 3 | 2 | 5 | 7-11 | 11 |
| 16.მონპელიე | 11 | 2 | 5 | 4 | 16-25 | 11 |
| 17.ლილი | 11 | 3 | 1 | 7 | 10-17 | 10 |
| 18.კაენი | 11 | 3 | 1 | 7 | 9-21 | 10 |
| 19.ნანსი | 11 | 2 | 3 | 6 | 7-13 | 9 |
| 20.ლორიანი | 11 | 2 | 1 | 8 | 8-18 | 7 |

**საფრანგეთი. მე-2 ლიგა**

ოსერი-ნიორი ................................. 0:4
კლერმონი-ამიენი ......................... 1:0
სოშო-სტრასბური .......................... 1:2

**ჰოლანდია. ეკრედივიზიონი**

ტილბურგი-გრონინგენი ................ 2:1
ჰერაკლესი-სპარტა ....................... 2:2
ვიტესი-პსვ .................................... 0:2
აიაქსი-ექსელსიორი ...................... 1:0

**პორტუგალია. პრიმეირა ლიგა**

ტონდელა-მორეირენშე ................. 1:2
სეტუბალი-პორტუ ......................... 0:0
ბოავიშტა-ეშტორილი ................... 0:0

**რუსეთი. პრემიერლიგა**

ამკარი-როსტოვი ........................... 1:0
სპარტაკი-ცსკა ............................... 3:1

**შოტლანდია. პრემიერლიგა**

აბერდინი-სელტიკი ........................ 0:1
ჰამილტონი-დანდი ........................ 0:1
ინვერნესი-ჰარტსი ........................ 3:3
მოზერველი-როსი .......................... 4:1
რეინჯერსი-კილმარნოკი ............... 3:0
სტ.ჯონსონი-პარტიკი .................... 1:2

**შვეიცარია. სუპერლიგა**

სიონი-ლუგანო .............................. 5:1
გრასჰოპერსი-ბაზელი ................... 0:2

**ავსტრია. ბუნდესლიგა**

ადმირა-რაპიდი ............................. 1:2
ვოლფსბერგერი-მატერსბურგი ..... 3:0
ზალცბურგი-რიდი ......................... 1:0
სტ.პოლენი-ალტახი ....................... 0:1

**ბელგია. 1 დივიზიონი**

ვარეგემი-ბრიუგე .......................... 0:0
გენკი-ვესტერლო .......................... 2:1
ეუპენი-ლოკერენი ......................... 2:2
სტ.ტრუიდენი-შარლერუა ............. 2:2

**საბერძნეთი. სუპერლიგა**

ლარისა-პანიონისი ........................ 2:0
ქსანთი-კერკირა ............................ 0:0
ატრომიტოსი-ოლიმპიაკოსი .......... 0:1

**თურქეთი. სუპერლიგა**

გაზიანთები-ოსმანლი .................... 3:1
ბურსა-ქონია ................................. 2:0
ადანა-გალათასარაი ...................... 0:1

**ჩეხეთი. სინოტ ლიგა**

სპარტა-პრჟიბრჟამი ...................... 4:0
ბრნო-იიჰლავა .............................. 1:1
სლოვაცკო-ტეპლიცე .................... 1:1
ბოლესლავი-ზლინი ....................... 1:2

**პოლონეთი. ექსტრაკლასა**

ლეჩნა-სლასკი ............................... 0:3
პოგონი-რუხი ................................. 2:1
ლეხი-პლოცკი ................................ 2:0

**უკრაინა. სუპერლიგა**

ოლიმპიკი-ვოლინი ....................... 2:1
შახტარი-ჩერნომორეცი ................ 2:0
დინამო-კარპატი ........................... 4:1

**დანია. სუპერლიგა**

ლუნგბიუ-რანდერსი ..................... 0:2

**ფინეთი. ვეიკაუსლიგა**

**პლეი აუტი**

ინტერი-ტპს ................................... 2:0

მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა

**მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი**

სქესობრივი უძლურება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!) შარდვის პრობლემის: ხშირი და უნებლიე შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, განმენდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან. ასევე ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად გათავისუფლება. დამოკიდებულების მოხსნა. „თეთრი ცხელების“, ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატებების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა, ფუნქციის აღდგენა, კუჭ-ნაწლავის გაჯანსაღება — დიაგნოსტიკით და საჭირო გამოკვლევებით. ანონიმურობა და შედეგები 100%-იანი. უკუჩვენება — 0.

მის.: მეტრო „დიდუბე“, სამთო ქიმიის შენობა, 1-ლი სართ, კაბ. 6
☎ 599-90-54-78, 234-02-38 ქ-ნი მარიამი

# დინამო ნაუგებლად ლიდერობს

დასაწყისი მე-9 გვერდზე

პირველი პერიოდი სოხუმელებმა 23:21 მოიგეს. ამ მონაკვეთში ნუგზარ ჭეიშვილის გაწვრთნილმა გუნდმა 4 სამქულიანი ჩააგდო და წარმატებული თამაში მეორე ათწუთეულშიც გააგრძელა. სანამ საკუთარ თამაშს იპოვიდა, დინამოს მიხეილ ჭოჭუა წინამძღოლობდა. მეორე მეოთხედი დინამოელებმა 25:23 მოიგეს და დიდი შესვენებისთვის თანაბარი ანგარიში იყო – 46:46.

გასახდელიდან მოედანზე დაბრუნებული დინამო სულ სხვაგვარად ათამაშდა. შედეგიანი კომბინაციები, სწრაფი გარღვევები, შორი ზუსტი სროლები – ყველაფერმა ამან დინამოელებს მესამე პერიოდი 12 ქულით მოაგებინა, რის შემდეგაც სოხუმელები გატყდნენ და საბოლოოდ 35 ქულით წააგეს.

ბოლო პერიოდში სათადარიგოთა სკამიდან გააძევეს ნუგზარ ჭეიშვილი, რომელმაც 2 ტექნიკური მიიღო.

გამარჯვებულებს 27 ქულით



ჭოჭუამ ულიდერა, 16 ქულა მიითვალა ნოდარ გოგოძემ, ხოლო დეონტა ვონის ანგარიშზე 15 ქულა დაგროვდა.

სოხუმში 18 ქულით ფილიპ მილერი გამოირჩა

**კაკტუსი-ბათუმი 67:90**
(16:19, 10:18, 24:29, 17:24)

სუპერლიგის დებიუტანტმა კაკტუსმა ბათუმს უმასპინძლა და დამარცხდა. არადა, კაკტუსელებმა სუპერლიგაში ასპარეზობა ხმაურიანი გამარჯვებით დაიწყეს – არჩილ ჟღენტის გაწვრთნილმა გუნდმა სადებიუტო მატჩში მოქმედი ჩემპიონი ქუთაისი დაამარცხა, თუმცა ზღვისპირელებს წინააღმდეგობა ვერ გაუწია. დავით უსტიაშვილის გუნდმა დამაჯერებელი სხვაობით იმარჯვა.

ბათუმელები წარმატების იარაღად შორ სროლებს და სწრაფ შეტევებს იყენებდნენ, რასაც წარმატებით უთავსებდნენ ფარქვეშ შესვლებს. შესაბამისად, სტუმრებს თამაშის ყველა ძირითად კომპონენტში უპირატესობა ჰქონდათ და საბოლოოდ გამარჯვების მოპოვებაც არ გასჭირვებიათ.

კაკტუსმა მეორე პერიოდში შეძლო ვითარების დაძაბვა, როცა ძირითადად შორი სროლებით ჩამორჩენის 1 ქულამდე შემცირება მოახერხა, თუმცა ბათუმელთა წუთშესვენებას და სწორ პოზიციურ გადაადგილებებს სტუმართათვის სოლიდური ლიდერობის დაბრუნება მოჰყვა.

მატჩის მიწურულს უსიამოვნო ფაქტი მოხდა: ბათუმელ ნიკა რამიშვილსა და კაკტუსელ ტაილერ უაითს შორის კონფლიქტი გაჩაღდა. ეს მოთამაშეები და ასევე მოედანზე სათადარიგოთა სკამიდან შესული ბათუმელი ნოდარ თენიეშვილი მატჩიდან დისკვალიფიცირებულნი იქნენ. თუ რამდენ თამაშს გამოტოვებენ ისინი, ამას კალათბურთის ფედერაციის სადისციპლინო კომიტეტი გადაწყვეტს.

გამარჯვებულებს 23 ქულით ილია შემოსიუკმა ულიდერა, 18 ქულა და 9 მოხსნა კახა ჯინჭარაძემ მიითვალა.

კაკტუსში 21 ქულით ბომბარდირი ტერიკ ბრიგმენი გახდა, ხოლო ჯონ ფლოვიერსმა ორმაგი დუბლი – 17 ქულა და 16 მოხსნა მიითვალა.

**მგზავრები-ოლიმპი 49:88**
(8:17, 13:28, 15:20, 18:23)

მატჩმა მაყურებელთა მოლოდინი არ გაამართლა: ლეონიდ ივატინის გაწვრთნილმა ოლიმპმა მეტოქეს ყველა კომპონენტში აჯობა და მიმდინარე სუპერლიგაში სარეკორდო სხვაობით გაიმარჯვა.

მგზავრების მარცხს ის ახსნა აქვს, რომ გუნდი მხოლოდ ერთი ლეგიონერით თამაშობდა – ტრავმის გამო გუნდს ვერ ეხმარებოდნენ რეჯინალდ მერფი და კალებ კლეიტონი, ხოლო დევინ ფოსტერი მგზავრებმა დაითხოვეს.

ოლიმპელებიც 1 ლეგიონერით თამაშობდნენ, თუმცა ამ გუნდს უფრო გამოცდილი ქართველი მოთამაშეები ჰყავს და თამაშიც გაუიოლდა.

უოლტერ პიჩფორდს ტრავმა ჰქონდა, ხოლო ის ერთი უცხოელი, რომელმაც ოლიმპში ითამაშა, მოედანზე საუკეთესო იყო – ტრე ბურნეთმა შეხვედრა 26 ქულით და 14 მოხსნით დაასრულა. მას კარგად უწევდნენ პარტნიორობას ირაკლი მიქელაძე და დავით როგავა, ხოლო გეგი ბაქრაძემ ფარზე კარგად იმუშავა და დაცვაშიც გაუვალი იყო.

მატჩის ბედი დიდი შესვენებისთვის უკვე გადაწყვეტილი იყო. ოლიმპმა პირველი ტაიმი 45:21 მოიგო და როცა მესამე პერიოდიც ივატინის გუნდის უპირატესობით დაიწყო, ოლიმპელთა გამარჯვება გარდაუვალი გახდა.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 1.დინამო | 3 | 3 | 0270-219 | 6 |
| 2.რუსთავი | 3 | 2 | 1237-223 | 5 |
| 3.ბათუმი | 3 | 2 | 1273-249 | 5 |
| 4.ქუთაისი | 3 | 2 | 1267-247 | 5 |
| 5.ოლიმპი | 3 | 1 | 2213-199 | 4 |
| 6.კაკტუსი | 2 | 1 | 1146-166 | 3 |
| 7.სოხუმი | 3 | 0 | 3234-292 | 3 |
| 8.მგზავრები | 2 | 0 | 2140-185 | 2 |

# ვაისმა მოლდოვასთან მატჩისთვის შემადგენლობა დაასახელა



საქართველოს ნაკრები მსოფლიოს 2018 წლის ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში მე-4 ტურის შეხვედრას მოლდოვასთან 12 ნოემბერს თბილისში გამართავს. ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ვლადიმირ ვაისმა მომავალი მატჩისთვის შემადგენლობა დაასახელა.

**ვაისის რჩეულთა 23-კაციანი სია ასე გამოიყურება:**

**მეკარეები:** ნუკრი რევიშვილი (დინამო, თბ), გიორგი ლორია (კრილია სოვეტოვი, რუსეთი), როინ კვასხვაძე (ტორპედო);

**მცველები:** უჩა ლობჟანიძე (დინამო, თბ), ოთარ კაკაბაძე (ხიმნასტიკი, ესპანეთი), საბა კვირკველია (რუბინი, რუსეთი), გურამ კაშია (ვიტესი, ჰოლანდია), დავით ხოჭოლავა (ჩერნომორეცი, უკრაინა), გიორგი ნავალოვსკი (ვერია, საბერძნეთი);

**ნახევარმცველები:** ჯაბა კანკავა (რეიმსი, საფრანგეთი), ვაკო გვილია (ბატე, ბელორუსი), ბუბა დაუშვილი (დიოშგიორი, უნგრეთი), თორნიკე ოქრიაშვილი (კრასნოდარი, რუსეთი), ჯაბა ჯიღაური, ოთარ კიტეიშვილი (ორივე დინამო, თბ), გიორგი ჭანტურია (ურალი, რუსეთი), ჯანო ანანიძე (სპარტაკი, რუსეთი), ალექსანდრე კობახიძე (ვორსკლა, უკრაინა), ვაკო ყაზაიშვილი (ლეგია, პოლონეთი);

**თავდამსხმელები:** დავით სხირტლაძე (სილკებორგი, დანია), ვლადიმერ დვალიშვილი (დინამო, თბ), გიორგი ქვილითაია (რაპიდი, ავსტრია), ლევან მჭედლიძე (ემპოლი, იტალია).

ვაისმა ის 9 ფეხბურთელიც დაასახელა, რომელსაც ამ ეტაპზე საქართველოს ეროვნული ნაკრების გაფართოებულ შემადგენლობაში განიხილავს:

**მეკარე:** გიორგი მაკარიძე (მორეირენსე, პორტუგალია);

**მცველები:** ლაშა დვალი (სლასკი, პოლონეთი), გიორგი რეხვიაშვილი, თორნიკე გრიგალაშვილი (ორივე ჩიხურა);

**ნახევარმცველები:** ნიკა კვეკვესკირი (გაბალა, აზერბაიჯანი), ლაშა პარუნაშვილი (დინამო, თბ), ჯაბა ლიპარტია (ზორია, უკრაინა);

**თავდამსხმელები:** ნიკა კაჭარავა (ეთნიკოსი, კვიპროსი), ოთარ მარცვალაძე (ორდაბასი, ყაზახეთი).

საქართველოს ნაკრები 7 ნოემბერს, თბილისში შეიკრიბება, ხოლო მოლდოვასთან მატჩი 12 ნოემბერს „დინამო არენაზე“ 21:00 დაიწყება.

# ზაზა ფაჩულიას პირველი ორმაგი დუბლი გოლდენ სტეიტში

სუპერვარსკვლავებით სავსე გუნდის ხუთეულში დამკვიდრებულმა ქართველმა ცენტრმა ნბა-ს რეგულარული ჩემპიონატის მეორე მატჩში თავისი პირველი ორმაგი დუბლი გაიფორმა. ფაჩულიამ ეს ნიუ ორლეანში, პელიკანსთან 122:114 მოგებულ შეხვედრაში მოახერხა.

ფაჩულია, ტრადიციულად, სასტარტოში იყო და თამაში ისე შედეგიანად დაიწყო, რომ არასრულ 6 წუთში მას უკვე 8 ქულა და 6 მოხსნა ჰქონდა მოგროვებული. სწორედ ეს დრო გაატარა ზაზამ მოედანზე პირველ პერიოდში და შემდეგ მეორეში გამოჩნდა, 2 ქულა და 3 მოხსნაც მიითვალა და პირველი ნახევარი 10 ქულითა და 9 მოხსნით დახურა.

დიდი შესვენების შემდეგ, თამაშის განახლებიდან ათიოდ წამში, ზაზამ მოხსნა მიითვალა და მოედანზე ყოფნის მე-12 წუთისთვის ორმაგი დუბლი შეასრულა. ფაჩულიამ მთლიანობაში 17 წუთი ითამაშა და შეხვედრა 10 ქულით, 11 მოხსნითა და 1 პასით დაასრულა.

მეოთხე მეოთხედში ქართველი ცენტრი მოედანზე არ გამოჩენილა, თუმცა გოლდენსტეიტელებს არ გასჭირვებიათ მებრძოლი მეტოქის გატეხა და სეზონის




პირველი გამარჯვების მოპოვება.

გოლდენ სტეიტში საუკეთესო შედეგი კევინ დიურანტმა დააფიქსირა, რომელმაც 39 წუთში 30 ქულა, 17 მოხსნა, 6 პასი, 2 ჩაჭრა და 2 დაფარება მიითვალა. 28 ქულა ჰქონდა კლეი ტომპსონს, ხოლო 23 – სტეფ კარის.

ნიუ ორლეანის ძირითად ცენტრ ომერ ასიკს მხოლოდ 8 სათამაშო წუთი დაეთმო, რათა ფარქვეშ სივრცე და ასპარეზი გამოთავისუფლებოდა პელიკანსის არქიმექულე ენტონი დევისს, რომელმაც პირველ მატჩში 50 ქულა მიითვალა და ხელი არც ამჯერად მოსცარვია, თუმცა მისმა 45 ქულამ ვერაფერი დააკლო გოლდენ სტეიტს, რომელმაც გეზი ფინიქსისკენ აიღო და მორიგი გამარჯვების მოპოვებას სანსთან ეცდება.

*მოამზადა მიხეილ ქორქოლიანმა*

## ასტროპროგნოზი
### 31 ოქტომბრისათვის



**ვერძი** – საქმიანი ურთიერთობები კმაყოფილებას ვერ მოგგვრით. ეცადეთ, თავი შეიკავოთ ემოციების გამოვლენისაგან. **კურო** – ემოციები მძლავრობს. დამშვიდდით და მხოლოდ საყვარელი საქმე აკეთეთ. **ტყუპები** – კეთილისმყოფელი დღეა. ნებისმიერ პრობლემას ძალდაუტანებლად და იოლად აგვარებთ. წინასწარ ნურაფერს დაგეგმავთ. **კირჩხიბი** – ბევრი საქმე დაგიგროვდათ. ემოციები დაიოკეთ და მშვიდად იმუშავეთ. დაკისრებული მოვალეობები პირნათლად შეასრულეთ. **ლომი** – მოულოდნელი ინფორმაცია გეგმების შეცვლას გაიძულებთ. კონფლიქტში ნუ ჩაერთვებით. **ქალწული** – ჯანმრთელობას მიხედეთ. საჭიროების შემთხვევაში, ექიმთან ვიზიტს ნუ გადადებთ. ყველაფერს გულთან ახლოს ნუ მიიტანთ. **სასწორი** – მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღებისას დაფიქრდით. ნაჩქარევი არაფერი ვარგა. **ღრიანკალი** – ენერგეტიკული აღმავლობის დღეა. შრომის ნაყოფიერება საგრძნობლად აგიმაღლდებათ. სასიამოვნო ინფორმაციას ელოდეთ. **მშვილდოსანი** – კეთილისმყოფელი პერიოდია. ნებისმიერი საქმიანი შემოთავაზება იღბლიანი იქნება. **თხის რქა** – პრობლემები არ გაწუხებთ. მთავარია, არ დაიბნეთ და გადაწყვეტილებები მხოლოდ ნათელი გონებით მიიღოთ. **მერწყული** – განმარტოება და სულიერი ძალების მოკრება გჭირდებათ. ყველანაირი საქმიანი კონტაქტი ნეგატიურ შედეგს გამოიღებს. **თევზები** – მოულოდნელი ინფორმაცია მთელ გეგმებს თავდაყირა დაგიყენებთ. იოლად არავის მიენდოთ.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

# სკანვორდი



1. მრავალრიცხოვანი ხალხის გარკვეული სვლა; 2. შინაური ფრინველი; 3. ლანგარი; 4. ... დუმბაძე; 5. იგივეა, რაც კნუტი; 6. ესპანურად „ბატონს“ ნიშნავს; 7. ნადირობა ან მოგზაურობა აფრიკაში; 8. ღამის პეპელა; 9. ჭადრაკის ფიგურა; 10. კუნძული ინდოეთის ოკეანეში; 11. პოლიტიკური ბრძოლის ხერხები; 12. ძვირფასი ქვა; 13. ადამიანის ბიოველი; 14. ნატეხი შაქარი; 15. „სამი ...“ (რემარკი); 16. გემის კორპუსის ნაწილი; 17. მდიდრული ცხოვრების მოყვარული ფრანგ თავადაზნაურებში; 18. სატურნის თანამგზავრი; 19. ... პაჩინო; 20. ვულკანიდან ამონთხეული გავარვარებული მასა; 21. ტროპიკების ცხოველი ხორთუმისებრი ცხვირ-ტუჩით; 22. სოლო სიმღერა ოპერაში; 23. საზოგადოებრივი წონა, ავტორიტეტი; 24. მამულიშვილი; 25. თბილი ქვეყნების ხე ან ბუჩქი; 26. ეგვიპტელთა მზის ღვთაება; 27. ციფრი; 28. სოფელი გარდაბნის რაიონში; 29. მოკლე ალეგორიული მოთხრობა ან ლექსი; 30. უეცარი შიში, თავზარი; 31. მეექვსე ნოტი.

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. ჯუღელი; 2. ალგეთი; 3. დეპარდიე; 4. ემბაზი; 6. კატალოგი; 8. ყირიმი; 11. სოლოლაკი; 12. ფალაური; 16. იურტა; 17. ბირჟა; 18. ფერმი.

**თარაზულად:** 1. ჯანაოზი; 5. წალკა; 7. რეკლამა; 9. ეკლესია; 10. ბაბაჭუა; 13. მუხიანი; 14. ბოინგი; 15. ვაჩა; 19. კარფური; 20. მიუზიკლი; 21. შარლემანი; 22. პილონი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. ტრიერი; 2. ხარკი; 3. უტოპია; 4. ოკენცე; 6. ესკადრა; 9. ტევრი; 11. ვერსალი; 15. იმუნიტეტი; 16. ჩაქურა; 17. ჰიუსტონი; 19. ანანასი; 21. ბარტერი; 22. თაბახი.

**თარაზულად:** 5. პრობაცია; 7. სადროშო; 8. პენსნე; 10. ბენფიკა; 12. ცაიში; 13. გურა; 14. გარნიტური; 18. პასკა; 20. ფაზისი; 23. შარიფი; 24. რომი; 25. ბერეტა; 26. ხოტი; 27. პროტონი.

# ქართველმა პიანისტმა ნიცაში გაიმარჯვა



საფრანგეთის ქალაქ ნიცაში ჩატარებული რიგით მეცხრე პიანისტთა საერთაშორისო კონკურსი ქართველი პიანისტისთვის წარმატებული აღმოჩნდა.

საერთაშორისო და კომპეტენტურმა ჟიურიმ საუკეთესოები გამოავლინა და გამარჯვებულებიც დაასახელა.

საერთაშორისო კონკურსის პირველი პრემიის მფლობელი ქართველი პიანისტი ალექსანდრე ჯულაყიძე გახდა, რომელიც პროფესორ მანანა დოიჯაშვილის აღზრდილია.

# სუხიშვილების კონცერტმა ჟენევაში ანშლაგით ჩაიარა

სუხიშვილებმა ევროპაში საკონცერტო ტურნე დაიწყეს და პირველი კონცერტი ჟენევაში გამართეს.

როგორც მოსალოდნელი იყო, კონცერტმა სრული ანშლაგით ჩაიარა და მაყურებელმა ქართველი მოცეკვავეები ხანგრძლივი ოვაციებითა და ტაშით დააჯილდოვა.



# ანი კეკუა გათხოვდა



მუსიკალური პროექტების „ჯეოსტარისა“ და „ნუცას სკოლის“ გამარჯვებული მომღერალი ანი კეკუა გათხოვდა.

25 წლის მომღერლის რჩეული გიორგი გოგბაიძეა. წყვილმა ორწლიანი ურთიერთობა ოჯახის შექმნით დააგვირგვინა და ჯვრისწერითა და ქორწინებით დაასრულა.

ანისა და გიორგის გაბედნიერება მათმა უახლოესმა მეგობრებმა და ოჯახის წევრებმა გაიზიარეს. ქორწილში მიწვეულთა შორის აღმოჩნდნენ მომღერლები თიკა მახალდიანი, ნინი წიკლაური, სოფო ბედია, ელენე ფოჩხუა, ნათია დუმბაძე, ჟურნალისტი ეკა ხოფერია და საზოგადოებისთვის ცნობილი სხვა პირები.

# ოთო ნემსაძეს ბრიტანულ „ნიჭიერში“ მონაწილეობისთვის ვიზა არ მისცეს

მომღერალ ოთო ნემსაძეს ბრიტანულ „ნიჭიერში“ მონაწილეობისთვის ვიზა არ მისცეს.

„ჯეოსტარისა“ და „ბრავოს“ გამარჯვებული მომღერალი ოთო ნემსაძე ბრიტანული „ნიჭიერის“ რჩეული გახდა და ოფიციალური მიწვევაც მიიღო.

ოთომ საკუთარი შესაძლებლობების საზღვრებს გარეთ დემონსტრირება უკრაინიდან დაიწყო, სადაც „ვოისში“ მიიღო მონაწილეობა, ფინალამდე მივიდა და მეორე ადგილიც დაიკავა.

ამჯერად ოთო ბრიტანული „ნიჭიერის“ რჩეული გახდა. მან წარმატებით გაიარა წინაშესარჩევი ეტაპი და შოუს ორგანიზატორებისგან მიწვევაც მიიღო, თუმცა პროექტში ვერ მონაწილეობს.

**ოთო ნემსაძე:**

– დაღმართებს აღმართები მოსდევს და, პირიქით, არ მჯერა. შენით ქმნი ყველაფერს და ნუ დაელოდები დაღმართის დასრულებას!!!

ამჯერად, უბრალოდ, ვიზა არ მომცეს.

სხვა რაღაცას გავაკეთებ და უფრო უკეთესს......

ოთო ნემსაძის ამ განცხადებამ მისი გულშემატკივრებისა და მეგობრების გაღიზიანება გამოიწვია. ნაწილმა საგარეო საქმეთა სამინისტროსა და დიპლომატიური კორპუსის ჩარევა მოითხოვა ამ საქმეში, თუმცა ოთო გადაწყვეტილებას უკვე შეგუებულია. მისი თქმით, ბრიტანული „ნიჭიერის“ სცენაზე ის 6 ნოემბერს უნდა იდგეს და აღარაფრის იმედი აღარ აქვს.




# ია ფარულავა: „აღარ ვიგინები!“



მსახიობი ია ფარულავა გასულ კვირას ფართო საზოგადოების ყურადღების ცენტრში მოექცა. თბილისის მოდის კვირეულზე მას და ტელეკომპანია „იბერიის“ ჟურნალისტს შორის შეკამათება მოხდა. კამათის მთავარი საკითხი ჩაცმულობა იყო.

მსახიობისა და ჟურნალისტის საუბრის ჩანაწერი ინტერნეტში განხილვის მთავარ თემად იქცა. სოციალურ ქსელში გარჩევებს ტელეწამყვანი ლიზა ვადაჭკორიაც შეუერთდა, რომელმაც ია ფარულავას უზრდელი ქალი უწოდა.

მომხდართან დაკავშირებით ია ფარულავამ ასეთი კომენტარი გააკეთა:

– ყველა ამას მეკითხება, ერთი-ორი გადაცემიდან დამირეკეს და უარი ვთქვი ინტერვიუზე. არ მინდა, სკანდალებით ვიარო და ვილაცები ვაპიარო. კიდევ ერთმა „ჟურნალისტების ბებიამ“ დაწერა, ია უზრდელიაო. სახელს არ ვასახელებ, არც მაგას დავაპიარებ.

ია რომ უზრდელია და პირდაპირია, ეს ყველამ იცის და, რაც უფრო ასაკში შევდივარ, უფრო მეტად ვუზრდელდები. ძალიან შევიკავე თავი და ყოჩაღ, ია! მე გავზრდილვარ, აღარ ვიგინები. კამერა რომ მორჩა გადაღებას, იქ რა მოხდა, რა მნიშვნელობა აქვს, მთავარია, კამერასთან ძალიან კარგად მოვიქეცი.

*მოამზადა ეკა ირემაშვილმა*

*მედიცინა*



# რომელ დაავადებას კურნავს ბოსტნეული

**ჭარხალი** – ხელს უწყობს კაპილარების გამაგრებას, სისხლის წნევისა და სისხლში ქოლესტერინის შემცირებას, ღვიძლის მუშაობის გააქტიურებას,



აუმჯობესებს ცხიმის ცვლას. ჭარხლის წვენით ავთვისებიანი სიმსივნით დაავადებულებსაც მკურნალობენ.

**ნესვი** – სასარგებლოა ათეროსკლეროზის, ანემიის, ბუასილის, ყაბზობის დროს. ნახარში იხმარება პიგმენტური ლაქების, ჭორფლის და ფერიმჭამელების მოსაშორებლად.

**სოიო**– სიცოცხლისთვის აუცილებელ ყველა ამინომჟა-



ვას შეიცავს. სასარგებლოა გასტრიტის დროს, როცა მჟავიანობა მომატებულია. სოიოს ფქვილი სასარგებლოა შაქრიანი დიაბეტით დაავადებულთათვის. მედიცინაში სოიოს ფქვილს იყენებენ ცენტრალური ნერვული სისტემის მასტიმულირებელი პრეპარატების დასამზადებლად. ავსტრიაში სოიოს ფქვილს ტუბერკულოზით დაავადებულთათვის იყენებენ. სოიოს ფქვილი შემადგენლობით დედის რძეს უახლოვდება, ამიტომ ბავშვთა კვებაში თითქმის შეუცვლელ პროდუქტად ითვლება.

**კამა** – ძველ კარაბადინ-



ში ერთ-ერთ სამკურნალო საშუალებად ითვლება. იყენებდნენ, როგორც ძილისმომგვრელ საშუალებას, მეძუძური დედებისთვის რძის გამოყოფის სტიმულატორად. ფოთლები და ნაყოფი გამოიყენება ცისტიტის, ღვიძლის, თირკმლის კენჭოვანი დაავადების დროს. ითვლება დიეტურ საკვებად. კარგია მეტეორიზმის (გაზების დაგროვების) დროს. კამის თესლის ნაყენი ბუასილის სამკურნალოდ გამოიყენება.

**კვახი** – გულსისხლძარღვთა, ნივთიერებათა ცვლის დარღვევის, ჭარბი წონის, ღვიძ-



ლისა და თირკმლის დაავადებების დროს კვახის დიეტა შესანიშნავ შედეგს იძლევა. აუმჯობესებს კუჭ-ნაწლავის ტრაქტის მოქმედებას. კვახის წვენი აწყნარებს ნერვულ სისტემას, წმენდს ორგანიზმს. განსაკუთრებით სასარგებლოა მათთვის, ვისაც ბოტკინის დაავადება აქვს გადატანილი. კვახი შეგიძლიათ უმი სახითაც მიირთვათ, იგი სასარგებლოა ქოლეცისტიტის, კოლიტის, სიმსუქნის დროს.

**მზესუმზირა** – ზეთი



უჯერ ცხიმოვან მჟავებს შეიცავს. იგი აწესრიგებს ორგანიზმში ქოლესტერინის ცვლას, ხასიათდება ანტისკლეროზული მოქმედებით. მზესუმზირის ყვავილების სპირტხსნარი გამოიყენება გრიპის და ზედა სასუნთქი გზების კატარის დროს. მზესუმზირის ახალი თესლი რეკომენდებულია ალერგიის, ბრონქიტის დროს. მზესუმზირას ახასიათებს სიმსივნის საწინააღმდეგო თვისებები.

**ბოლოკი** – ხველის, ყივანახველის, თირკმელისა და შარდის ბუშტის ანთებითი და კენჭოვანი დაავადებების საწინააღმდეგო საშუალებად ითვლე-



ბა. გამოიყენება, როგორც ჭრილობების შესახორცებლად, ნევრალგიების დროს. ჭორფლის მოსაშორებლად სუფთა კანზე წაისვით მკვებავი, შემდეგ კანზე დაიდეთ ბოლოკის ნაჭერი ნახევარი საათის განმავლობაში. შემდეგ კანი გრილი რძით გაიწმინდეთ.

**ხახვი** – საუკეთესო საშუალებაა ჰიპერტონული დაა-



ვადებების დროს. ხახვის წვენი და თაფლი შეურიეთ თანაბარი რაოდენობით და გამოიყენეთ მწვავე რესპირატორული დაავადებების, ანგინის, ქრონიკული ტონზილიტის დროს. ხახვის წვენი კარგია სტომატიტის დროს პირში გამოსავლებლად. თმის ცვენის დროს ხახვის წვენს თმის ძირებში იზელენ.

# კანის დაავადებების მკურნალობა ხალხური რეცეპტებით



კანის დაავადებებიდან ყველაზე გავრცელებულია ეგზემა. ეგზემა კანის ზედაპირული ანთებითი პროცესია. გამოიხატება სიწითლით, ბუშტების, ქერქისა და ქერცლის წარმოქმნით. თან ახლავს წვა, ქავილი, ზოგჯერ ტკივილი. იგი



ხშირად ვითარდება ნერვული და ენდოკრინული სისტემის მოშლით, ქრონიკული ინფექციების (ტონზილიტი, ჰაიმორიტი და სხვ.) არსებობით ორგანიზმში.

– კომბოსტოს ფოთოლს იდებენ დაზიანებულ ადგილზე და ბინტით იხვევენ. 2 3 დღის შემდეგ იხსნიან და ახალ ფოთოლს იდებენ. იმეორებენ რამდენჯერმე.

– რძეში ხარშავენ კომბოსტოს ფოთოლს, ურევენ ქატოში და იდებენ დაზიანებულ ადგილზე. იმაგრებენ სახვევით.

– კომბოსტოს ატარებენ ხორცსაკეპში და ურევენ კვერცხის ცილას. იდებენ დაზიანებულ ადგილზე საფენით.

– კარტოფილს ჭრიან სიბრტყეზე და იდებენ დაზიანებულ ადგილზე.

– კარტოფილს რეცხავენ, ფცქვნიან, ხეხავენ წვრილ სახეხზე და წურავენ. წვენში ასველებენ 1 სმ სისქეზე დაკეცილ მარლას და იდებენ ეგზემიან ადგილზე. 2 საათის შემდეგ ცვლიან ახლით.

– კარტოფილს ხეხავენ, უმატებენ თაფლს (1/2 ჭიქა ფაფაზე 1 ჩაის კოვზი თაფლი) და ურევენ. ამ ნარევს უსვამენ მარლის სქელ ფენაზე და ადებენ დაზიანებულ ადგილზე. საფენს ცვლიან ყოველ 2 საათში ერთხელ დღის განმავლობაში. ღამე იდებენ დინდგელის მალამოს, დღისით ისევ კარტოფილსა და თაფლის ნარევს.

## პროგრამა

ორშაბათი
31 ოქტომბერი

06.00, 14.00 ტ/სერ. "**ფრანკლინი და ბეში**" 07.00 დოკ/სერ. "დროისა და სივრცის მიღმა " 08.00 "მხიარული ფერმა" 08.40 "ტელემანი" 09.00 "მოამბე დილას" 10.00, 12.00, 16.00, 18.00, 20.00 "მოამბე" 10.10 "პირადი ექიმი" 11.00, 19.00 ტ/სერ. "**ტრიუმფი**" 12.20 მხ/ფ "**სასტიკი არსებები**" 15.00, 01.40 "X სტუდია" 16.30 "ეკონომეტრი" 17.00 "რეალური სივრცე" 21.00 ტ/სერ. "**შურისძიება**" 22.00 "მთავარი" - თამარ ჩიქოვანთან ერთად 23.00 ტ/სერ. "**ამერიკელები**" 00.00 მხ/ფ "**მოთამაშე ქალი**" (კ.კლაინი) 02.40 "რეალური სივრცე"

08.00 დ/ფ "ჯეიმი ოლივერის რევოლუცია კვების სფეროში" 09.00 დ/ფ "ლეონარდო და ვინჩი" 10.00 მხ/ფ "**სამყარო მშვენიერია**" 12.00 ტ/სერ. "**ნუ შეწყვეტ ოცნებას**" 13.00 ტ/სერ. "**ჩენტო ვეტრინე**" 14.00 დ/ფ "ჩრდილოეთ ამერიკა" 15.00, 18.00, 20.00 "ბრიფინგის დრო" 17.00 დ/ფ "წინასწარმეტყველი ფანტასტები " 19.00 "თავისუფალი ტრიბუნა" 20.00 "მოამბე" 21.00 "არგუმენტების დრო" 22.00, 01.00 ტ/სერ. "**ლოს ანჯელესის პოლიცია**" 23.00 "მოამბე" (3 ენაზე) 00.30 "ნამდვილი დრო"

06.30, 16.00 სერ. "**თანხმობა**" 07.30, 08.00, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 02.00 ქრონიკა 07.35, 08.15, 08.35, 09.15 იმედის დილა 10.05 სერ. "**ერთი სიყვარულის ამბავი**" 11.20 სერ. "**სიყვარულის ჟამი**" 12.30 დღის შოუ 14.40 სერ. "**ფიცი**" 17.35 სერ. "**პატარძალი**" 18.50, 19.03 სერ. "**ღირსების სახელით**" 20.55 სერ. "**შავი ვარდი**" 22.00 დ/ფ "ბადრი პატარკაციშვილი" 22.30 მხ/ფ "**მცველი**" 00.00 მხ/ფ "**იუმას მატარებელი**" 02.15 მხ/ფ "**ფრანკლინის ბინა**" 03.45 მხ/ფ "**არ ინერვიულო**" 05.15 მხ/ფ "**სამი ცხრიანი**"

06.00 სერ. "**დაკარგული ბავშვობა**" 06.45 სერ. "**გაბრიელა**" 07.30, 07.40, 08.10, 08.35, 09.15 დილამშვიდობისა საქართველო 07.35, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00 კურიერი 10.15 სერ. "**დინასტია**" 12.30 "სხვა შუა დღე" 13.55 სერ. "**წითელი და შავი**" 15.55 სერ. "**ინდური საგა**" 16.55 სერ. "**ცხოვრების გზები**" 18.50 სერ. "**შენი ზოდიაქოს ფერი**" 19.55, 20.05 სერ. "**დიდებული საუკუნე-ქოსემის რისხვა**" 22.00 კომედის კონცერტ 2016 00.00, 03.30 მხ/ფ 03.00 კურიერის დაიჯესტი

GDS 8.00 ან/ფ "**ვარსკვლავური ომები – მეამბოხეები**" 9.00, 19.30 სერ. "**მენტალისტი**" 10.00, 18.30 სერ. "**სკანდალი**" 11.00 სერ. "**გრეის ანატომია**" 13.00, 1.20 სერ. "**კრიმინალური აზროვნება**" 15.00 გვიანი შუადღე 17.00 ცოლები და ქმრები 17.30 სერ. "**ახალი გოგო**" 18.00 საინფორმაციო გამოშვება. მსოფლიო ამბები 20.30 20.30 22.30 სერ. "**სასოწარკვეთილი დიასახლისები**" 23.30 მხ/ფ "**უცხო მტაცებლის წინააღმდეგ**"

06.15 ღვთის სახლი 06.35 პატერიკი-როგორ შესაწირს შეიწყნარებს უფალი 06.45 ქართული ალბომი 07.20 ჩვენი საგანძური 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 "განთიადი" 10.10 პატრიარქის ქადაგება 10.40 საკვირაო სახარების განმარტება 10.50 კვირიაკე 12.05 მხ/ფ "**უკვდავების თეთრი ვარდი**" 13.30 "შუადღე ერთსულოვნებაზე" 14.30 გამოყენებითი ხელოვნება "მეფეთა ფუფუნება, მარიონეტები" 15.00 საეკლესიო კალენდარი 15.10 ქართ. ან/ფ 15.30 ერთხელ ბავშვობაში 15.50 კონცერტი 16.55 სპექტაკლი "**სიმღერა კორნეტ ქრისტოფ რილკეს სიყვარულსა და სიკვდილზე**" 18.05 "განთიადის" სტუმარი 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.00, 22.00, 00.05 სიახლენი 19.20 მხ/ფ "**ათოვდა ზამთრის ბაღებს**" I სერ. 20.40 ძილი ნებისა "იესოს პირველი სასწაული" 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.20 ერთსულოვნების ვერნისაჟი 21.30 პატერიკი-მოწყალე მღვდლის შესახებ 21.35 საეკლესიო აღმშენებლობა 22.15 საქართველოს სამართლის ისტორია 22.15 ქრისტიანული სწავლება 22.30 ძველი აღთქმის წინასწარმეტყველები 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 საუბარი მოძღვართან 23.45 ქვიშანი დარჩებიან 01.00 დ/ფ "იპოლიტე ხვიჩია" 01.30 "შუადღე ერთსულოვნებაზე" (გამეორება)

მაესტრო 7.00, 10.00, 11.00, 14.00, 16.00, 17.00, 19.00, 23.30, 1.00 "კონტაქტი" 7.30 ანიმაცია "ბუშტუკები" (ჟესტიკულაციით) 8.00 სერ."**კარმელიტა**" 10.00, 13.30, 2.00 სერ. "**ცენტრალური საავადმყოფო**" 11.00 სერ. "**გაზაფხულზე იბადება სიყვარული**" 12.00 "კონტაქტი თორმეტზე" 12.30, 0.00 "ბიზნეს კონტაქტი" 14.30, 1.30 სერ. "**ორი გული**" 15.00 "კონტაქტი სამზე" 15.30 სერ. "**სიყვარულის იმპერია**" 16.00, 2.45 სერ. "**კარმელიტა ბოშური ვნება**" 18.00 "კონტაქტი ექვსზე" 18.50 სერ. "**გაზაფხულზე იბადება სიყვარული**" 19.55 "დამზადებულია საქართველოში" 20.00 "კონტაქტი რვაზე" 21.10 სერ. "**გემი**" 21.55 "ცეცხლის ხაზი" თოქ-შოუ 23.00 სერ. "**ესკობარი**"

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


**31 ოქტომბრისთვის**

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 2.4091

ევრო — 2.6278

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2.9249

100 რუსული რუბლი — 3.8315

## ამინდის პროგნოზი 31 ოქტომბრისთვის




## დაობლებული ოპოსუმი ნაკრძალის თანამშრომელს დაუმეგობრდა



ავსტრალიის ნაკრძალში დაობლებული პატარა ოპოსუმი დაცული ტერიტორიის თანამშრომელს დაუმეგობრდა. მათი თბილი ურთიერთობის ამსახველი ვიდეოსიუჟეტი ფეისბუქში ნაკრძალის გვერდზე იქნა განთავსებული. ორ დღეში ვიდეორგოლი 156 ათასზე მეტმა ადამიანმა ნახა.

როგორც ვიდეოჩანაწერისთვის თანდართულ ტექსტშია ნათქვამი, ცხოველი, სახელად გესი, გვერდიდან არ სცილდება თავის ახალ მეგობარ ჯარედს. პატარა ოპოსუმი თავს ყოველთვის მის ჯიბეს აფარებს, როდესაც ტოტიდან ტოტზე არ დახტის.

## ფლორიდაში ყველაზე ხანდაზმული ლამანტინი აღმოაჩინეს



ამერიკის ფლორიდის შტატის ქალაქ ბრადენტონში მსოფლიოში ყველაზე ხანდაზმული ლამანტინი აღმოაჩინეს. ზღვის ცხოველის ცხოვრების ამსახველი ვიდეოჩანაწერი იუთუბიში გინესის რეკორდების წიგნის არხზე გამოქვეყნდა და ის უკვე 45 ათასზე მეტმა ადამიანმა ნახა.

როგორც ვიდეორგოლისთვის თანდართულ კომენტარშია მითითებული, ლამანტინი, სახელად სნუტი, 1948 წლის 21 ივლისს დაიბადა. მან, პრაქტიკულად, მთელი ცხოვრება ადგილობრივ მუზეუმში გაატარა. 68 წლის დღეგრძელი ლამანტინის მიღწევა გინესის რეკორდების წიგნში შეიტანეს.

## ნიუ-ჯერსიში 200-მდე გოგრა მოიპარეს



ორასამდე გოგრა მოიპარეს ფერმიდან, რომელიც ნიუ-ჯერსის შტატის პატარა ქალაქ უეინში მდებარეობს.

თავად ფერმის მფლობელმა ტოდ კიუმ ჟურნალისტებსა და პოლიციელებთან საუბარში განაცხადა, რომ სატვირთო ავტომობილი, რომლითაც ქურდები გადაადგილდებოდნენ, სათვალთვალო კამერებმა დააფიქსირეს. ვიდეოჩანაწერის მიხედვით, ქურდობაში ოთხი ეჭვმიტანილი მონაწილეობდა. მათ პირველივე ჯერზე მთელი მოსავლის წაღება ვერ მოახერხეს, ამიტომ ისინი კიდევ ორჯერ დაბრუნდნენ ნაქურდალისთვის.

120 წლის ფერმის მფლობელები ამტკიცებენ, რომ მათმა ზარალმა 2,5-დან 3 ათას დოლარამდე მიაღწია. ისინი მზად არიან, ინფორმაციაში, რომელიც პოლიციას ქურდების პოვნასა და მათ დაკავებაში დაეხმარება, ათასი დოლარი გადაიხადონ.

აღსანიშნავია, რომ აღნიშნული ქურდობა ჰელოუინის წინ მოხდა, რომელიც ყოველ წელს 31 ოქტომბერს აღინიშნება. ამერიკაში, ტრადიციულად, ამ დღეს გოგრისგან მანათობლებს ამზადებენ, ასევე გოგრის ნამცხვარს აცხობენ.

## ატლანტაში ფულის წვიმის მომწყობი რეპერი გააკრიტიკეს



ინტერნეტმომხმარებლებმა რეპერი რაიო, რომელიც ჯორჯიის შტატის ქალაქ ატლანტიდან არის, იმის გამო გააკრიტიკეს, რომ მან ქალაქის ქუჩაში ფულების წვიმა მოაწყო, შემდეგ ამის ამსახველი ვიდეო ინსტაგრამში საკუთარ გვერდზე განათავსა.

21 წლის მუსიკოსმა მის გარშემო თავმოყრილ ადამიანებს თავზე, საერთო ჯამში, 30 ათასი დოლარი გადააყარა, შემდეგ ის, თუ როგორ იჭერდნენ ისინი მის მიერ გადაყრილ კუპიურებს, ვიდეოზე გადაიღო.

— რად გვინდა სტრიპკლუბები, ზანგებო, ვისაც ფული გაქვთ, წავიდეთ უსახლკაროთა თავშესაფრებში და ფულები მათ გადავუყაროთ, — მიაწერა თავის ვიდეორგოლს რეპერმა.

თუმცა მისმა ბევრმა ხელმომწერმა რეპერის ასეთი ჟესტი არ დააფასა და მკაცრად გააკრიტიკა.

— ეს უსინდისო საქციელი იყო, ვინაიდან შენ იდექი და სიამოვნებას გგვრიდა იმის ყურება, თუ როგორ ჩხუბობდნენ ადამიანები შენ მიერ გადაყრილი ფულის გამო, — დაწერა ერთ-ერთმა ინტერნეტმომხმარებელმა.

— საზიზღრობაა, — დაწერა მეორე ინტერნეტმომხმარებელმა, თუმცა, ისეთებიც აღმოჩნდნენ, რომლებმაც რეპერის საქციელი მოიწონეს.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**



## იუმორი

მამაკაცი მკითხავს ეუბნება:

— მასწავლე, როგორ მოვხიბლო ქალი.

— კარგი. კარგად მომისმინე, მასთან ერთად მიხვალ მოდური ტანსაცმლის მაღაზიაში და ეტყვი: „აირჩიე, რაც გინდა, ფულს მე ვიხდი!..“

•••

ქალი შვილის მასწავლებელს საყვედურობს:

— როგორ მიეცით ჩემს ბავშვს ამოცანა, რომელშიც ეწერა, რომ ერთი ბოთლი ლუდი 40 თეთრი ღირს?!

— რა მოხდა, ქალბატონო, ეს ხომ ამოცანაა.

— ჩემმა ქმარმა რომ წაიკითხა, ნერვიულობისგან მთელი ღამე თვალი არ მოუხუჭავს!

•••

ერთი დაქალი მეორეს ეკითხება:

— რა დაგიჯდა ეს მშვენიერი ბეწვის ქურქი?

— 30 ისტერიკა.

— პოო, ძვირი დაგჯდომია, ძვირი.

•••

ქალი ბავშვს ეკითხება:

— აბა, გიგი, თითებით მაჩვენე, რამდენი წლის ხარ?

— ხუთი წლის ვარ. აი.

— ძალიან კარგი.

— დეიდა, შენც მანახე თითებით, რამდენი წლის ხარ?

•••

კარზე ზარია. კაცი კარს აღებს, იქ კი ახალგაზრდა, სიმპათიური ქალი დგას და ღიმილით ეუბნება:

— გამარჯობა, მე თქვენი ახალი მეზობელი ვარ.

— მართლა ძალიან სასიამოვნოა.

— იცით რა, მინდა, მთელი ღამე გავერთო, დავლიო, ვიმხიარულო, დრო ვატარო და თქვენ გცალიათ?

— რა თქმა უნდა!

— მაშინ, ჩემს ძაღლს მიმიხედეთ, კარგი?

•••

პაპა ძველ, გაცვეთილ ტელეფონის წიგნს ფურცლავს. შვილიშვილი ეკითხება:

— რას ეძებ, პაპი?

— ეჰ, ახალი ტელეფონების წიგნი მინდა, აქ ყველა გარდაცვლილია...

•••

ტელეფონის ზარია:

— ალო! გამარჯობა! უშიშროებიდან გირეკავთ!

— ვიცი.

— საიდან იცით?

— გამორთულ მობილურზე მირეკავთ.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**


მოიკითხეთ ყველაზე მრავალფეროვანი, საინტერესო და ხელმისაწვდომი ჟურნალ-გაზეთები პრესის გავრცელების სამსახურის სტელაჟებზე.







21 ოქტომბრიდან

მაიკლ პუნკე

გადარჩენილი

რომანის მთავარ გმირს, ჰიუ გლასს, თავს დაესხა დათვი გრიზლი და დაასახიჩრა. მომაკვდავი თანამეგზურებმა მიატოვეს.

გლასი გადარჩა და დამნაშავეებზე შურის საძიებლად გაემართა. სწორედ აქ იწყება ჰიუ გლასის გადარჩენის დაუჯერებელი ამბავი.

ჰოლივუდში ამ რომანის მიხედვით გადაღებულმა ფილმმა 2016 წელს ამერიკის კინოაკადემიის უმაღლესი ჯილდო, ოსკარი დაიმსახურა.

ნანატრი ოსკარი მიიღო მთავარი როლის შემსრულებელმა ლეონარდო დი კაპრიომაც, რომლისთვისაც ეს პირველი ოსკარია.

ფასი გაზეთთან ერთად 11 ლარი


## ლონდონში რქოსანი ცხენები გამოჩნდნენ

ლონდონში გამოჩნდა კარეტები, რომლებშიც რქოსან ცხენებს დამსგავსებული ცხენებია შებმული.




გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ასეთი ეკიპაჟები ქალაქის ცენტრში რამდენიმე დღის განმავლობაში იმოძრავებს. მათში ოთხ მგზავრს შეუძლია მოთავსდეს. ეკიპაჟები ძირითადად ბრიტანელების სამსახურში მიყვანით იქნებიან დაკავებულნი.

— მე ჩვეულებრივ ჩემს ოფისამდე მისაღწევად მეტროპოლიტენით ვსარგებლობ, მაგრამ ამ დილით გაჩერებაზე მდგომი კარეტით ვისარგებლე. ეს მგზავრობა დიდხანს არ დამავიწყდება და ჩემთვის მნიშვნელობა არ აქვს, ვინმე ირონიული სახით მიყურებდა თუ არა, — განაცხადა კარეტის მგზავრმა მიშელ კლარკმა.

## ამერიკის პოლიციამ ხის კოსტიუმში გამოწყობილი მამაკაცი დააკავა

ამერიკის მენიც შტატში პოლიციელებმა დააკავეს მამაკაცი, რომელიც ხის კოსტიუმში იყო გამოწყობილი და პორტლენდის ქუჩებში მოძრაობას აფერხებდა. მომხდარის ვიდეოჩანაწერი ტვიტერში ერთ-ერთმა ინტერნეტმომხმარებელმა გამოაქვეყნა. ერთ დღე-ღამეში ის 12 ათასზე მეტმა ადამიანმა მოიწონა.



როგორც ვიდეოს ავტორი აღნიშნავს, ასეთ უცნაურ ფორმაში გამოწყობილ 30 წლის მამაკაცს ეშერ ვუდვორტი ჰქვია. თავად დაკავებულმა უარი თქვა, სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლებისთვის შეკითხვებზე ეპასუხა, თუმცა იქვე ახლოს მყოფმა მისმა მეგობარმა განაცხადა, რომ მამაკაცს ასეთი სახით სურდა, ადგილობრივი საავტომობილო მოძრაობა გამოეკვლია.

## ბრიტანულმა ოჯახმა მტრედის ბარტყს უპატრონა

ბრიტანეთის ვუსტერშირის საგრაფოს მცხოვრებმა ოჯახმა ბუდიდან გადმოვარდნილი მტრედის ბარტყი გადაარჩინა და თავისთან სახლში შინაურ ფრინველად დაიტოვა. ამ მოვლენის ამსახველი სიუჟეტი იუთუბიზე იქნა განთავსებული. ოჯახის ახალ წევრს ჩარლი დაარქვეს.



47 წლის რეიჩელ გრინმა, მისმა მეუღლემ და ბავშვებმა გამოკვებეს და განკურნეს დაშავებული ბარტყი, რომელმაც ბუდიდან ჩამოვარდნის დროს ფრთა დაიზიანა. ქალის თქმით, მტრედი მისი სახელის დაძახებაზე პასუხობს, ძაღლების არ ეშინია და ბავშვებს ეთამაშება.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## კროსვორდი

**თარაზულად:** 1. ზღვის წვრილი თევზი; 5. დიდი კრემიანი ნამცხვარი; 7. ორი არამეზობელი ბგერის სწრაფი მონაცვლეობა ან რაიმე ბგერის ძალიან სწრაფად გამეორება; 9. თავშესაფარი თხრილი ომის დროს, საიდანაც ისვრიან; 10. სიტყვის სუფიქსი, პრეფიქსი ან ძირი (ლინგვ.); 13. ვასილ ... (მწერალი); 14. ძვირფასი ქვების წონის ერთეული; 15. ქამანდი; 19. გრძელ დისტანციებზე მორბენალი ან მოცურავე სპორტსმენი; 20. რისამე ნაირსახეობა; 21. სარქველი გემის წყალქვეშა ნაწილში; 22. ახლომხედველობა.

**შვეულად:** 1. ცოლის დის ქმარი; 2. დამღა; 3. სპილენძის სასულე საკრავი; 4. ალგორითმული ენა; 6. გამომწვარი ფერადი თიხა; 8. სისხლის შენადედი სისხლძარღვში; 11. ქვის, აგურის და მისთ. შენობის მშენებელი ხელოსანი; 12. ვაჭრობის სახეობა; 16. ზოდიაქოს ნიშანი; 17. წყვილთა სამეჯლისო ცეკვა; 18. აფრიკული ხანჯალი.

**შეადგინა ოლივერ კოხიამ**





ლურჯი წითელი ყვითელი შავი